

# ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასება

2021-2022 წწ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი  
USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გრანტი:  
„საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხელშეწყობა  
საქართველოში მონიტორინგისა და ცნობიერების ამაღლების გზით“



ნორმატიული აქტების შემუშავების  
პროცესში საჯარო-კერძო დიალოგის  
ხარისხის შეფასება  
2021-2022 წწ.

ივნისი, 2023

ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში საჯარო-კერძო  
დიალოგის ხარისხის შეფასება - 2021-2022 წწ.

## ანგარიშის ავტორები:

მარიამ საღარეიშვილი

ნინო ალიბეგაშვილი

## რედაქტორი:

ლევან ავალიშვილი



**შენიშვნა:** ამ პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.

# აკრონიმები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
DMO	დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია
EPC	ევროპის საკაბინეტო კონვენცია
EPO	ევროპის საკაბინეტო ორგანიზაცია
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
IDFI	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
KFW	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია
RIA	რეგულირების გავლენის შეფასება
PLT	საკაბინეტო კანონის შესახებ საერთაშორისო შეთანხმება
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო

# შინაარსი

<b>შესავალი</b>	01
<b>მეთოდოლოგია</b>	03
<b>ძირითადი მიზნობები</b>	05
მუნიციპალიტეტები	07
<b>რეკომენდაციები</b>	08
მუნიციპალიტეტები	09
<b>ნორმატიული აქტების რეიტინგი</b>	10
<b>ნორმატიული აქტების შეფასება</b>	15
1. კანონების შეფასება	15
2. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასება	33
3. მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტების შეფასება	49
<b>დანართი I: გამოყენებული წყაროები</b>	57



მტკიცებულებაზე დაფუძნებული, ინკლუზიური პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისათვის, ასევე, რეგულაციების ეფექტიანი აღსრულებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თანამშრომლობის უზრუნველყოფა საჯარო და კერძო სექტორებს შორის. დიალოგის გაძლიერებით შესაძლებელია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების დროულად და ეფექტიანად გადაჭრა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, USAID-ის მხარდაჭერით, 2015 წლიდან აფასებს საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხარისხს. საწყის ეტაპზე ფასდებოდა დიალოგის ხარისხი ცენტრალურ დონეზე, ხოლო 2021 წლიდან IDFI-მ დაიწყო მუნიციპალური ნორმატიული აქტების შეფასებაც.


წინამდებარე ანგარიშის მიზანია, შეაფასოს კერძო სექტორის ჩართულობის ხარისხი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენის მქონე ნორმატიული აქტების მომზადების პროცესში. კერძოდ, შეფასდა 2021-2022 წლებში მიღებული/ინიცირებული ოცი ნორმატიული აქტის ფარგლებში ჩატარებული დიალოგის ხარისხი. შეირჩა რვა კანონი/კანონპროექტი, რვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი და ოთხი მუნიციპალიტეტის - ბათუმის, ქუთაისის, გორისა და რუსთავის ბიუჯეტის თითო პრიორიტეტული პროგრამა. ბათუმსა და რუსთავში შეირჩა ინფრასტრუქტურის, ხოლო გორსა და ქუთაისში - ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

შეფასების საწყის ეტაპზე პროექტის გუნდმა დაამუშავა აქტებთან დაკავშირებული დოკუმენტები. ჩართული მხარეების იდენტიფიცირების მიზნით, მიმართა შესაბამის საჯარო უწყებებს, პროფესიულ ასოციაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. შეფასების პერიოდში ზოგადად გართულებული იყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ზოგიერთი საჯარო უწყებიდან. ამას ადასტურებს IDFI-ს კვლევაც, რომლის მიხედვითაც, 2022 წელს საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ბოლო 12 წლის მანძილზე ყველაზე დაბალი იყო<sup>1</sup>.

აღნიშნული მდგომარეობა აისახა შეფასებაზეც - პროექტის გუნდმა უარი მიიღო ზოგიერთი საჯარო უწყების მხრიდან შეფასებაში მონაწილეობაზე. ზოგ შემთხვევაში საჯარო უწყების მოსაზრებით მათ მიერ მომზადებული აქტი არ საჭიროებდა გარე შეფასებას, ხოლო ზოგ შემთხვევაში - ჩართული პირები დაცული იყვნენ ვინაობის გამხელისგან აღმასრულებელი პრივილეგიით. შესაბამისად, შეფასება დაეყრდნო კერძო სექტორის ინტერვიუებს და აქტებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ოფიციალურ ინფორმაციას (მაგ. განმარტებით ბარათს, პროექტის ანგარიშს, სხვ.) და შეფასებიდან გამორიცხულია საკითხები, რომელზეც კვლევის გუნდმა ვერ მიიღო ინფორმაცია.

<sup>1</sup> <https://bit.ly/3mlxqr1>

2022 წლის სექტემბერ-ნოემბერში პროექტის გუნდმა გამართა შეხვედრები ქუთაისის, ბათუმის, გორისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, რათა გაცნობოდა მუნიციპალიტეტებში საჯარო-კერძო დიალოგის არსებულ პრაქტიკას და შეერჩია შესაფასებელი ნორმატიული აქტები. სწორედ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის შედეგად მოხდა მუნიციპალური ბიუჯეტების ეკონომიკური გავლენის მქონე პრიორიტეტული პროგრამების შეფასება.










# მეთოდოლოგია

ანგარიშში შეფასებულია კერძო სექტორის ჩართულობის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის მქონე ნორმატიული აქტების მომზადებაში. კვლევა აფასებს ნორმატიული აქტის შექმნის პროცესს, კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმალური განხილვის პროცედურების დანყებას. **კვლევის მიზნებისთვის კერძო სექტორში იგულისხმება დაინტერესებული მხარეები, მაგ. ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, ექსპერტული და აკადემიური წრეების, კვლევითი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.**

კანონების მომზადებისას დიალოგის ხარისხის შეფასება ეფუძნება პოლიტიკის შემუშავების წინასწარ განსაზღვრულ ოთხ ეტაპს: პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი, კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი, ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან და Ex-ante რეგულირების გავლენის შეფასება.

-  **პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი:** ამ ეტაპზე ფასდება კერძო სექტორის ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების თავდაპირველ პროცესში. ასევე, მზადდება კანონპროექტის კონცეფცია და თანხმდება ძირითადი პრინციპები, თუმცა, დანყებული არ არის კანონპროექტის ტექსტის მომზადება;
-  **კანონპროექტის ტექსტის შემუშავების ეტაპი:** ამ ეტაპზე ფასდება კერძო სექტორის ჩართულობა უშუალოდ კანონპროექტის ტექსტის შემუშავების პროცესში;
-  **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან:** ამ ეტაპზე ფასდება კანონპროექტის ავტორების მცდელობა საჯარო გახადონ და გაავრცელონ დაგეგმილი საკანონმდებლო რეფორმა და ცვლილებები საკანონმდებლო აქტში კერძო სექტორსა და ფართო საზოგადოებაში; ასევე, ფასდება საზოგადოების მხრიდან კომენტარების მისაღებად გადადგმული ნაბიჯების შესაბამისობა და ხარისხი.
-  **Ex-ante რეგულირების გავლენის შეფასება (RIA):** ამ ეტაპზე ფასდება კანონპროექტთან დაკავშირებით რეგულირების გავლენის შეფასების არსებობა და კერძო სექტორის ჩართულობა.

თითოეული ეტაპი მოიცავს 6-7 ქვეკომპონენტს, რომლებიც შეფასებულია 0-დან 3-მდე შკალით. **თავდაპირველად გამოითვლება თითოეული ეტაპის საშუალო მაჩვენებელი 0-დან 3-მდე შკალით. ხოლო შეფასების საბოლოო ქულა წარმოადგენს 4 ეტაპის საშუალო ქულას 0-დან 3-მდე შკალით.** საჯარო-კერძო დიალოგისთვის კი ხარისხის მინიჭება ხდება შემდეგი ფორმით:




**კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების/მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტების მომზადებისას დიალოგის ხარისხის შეფასება ეფუძნება პოლიტიკის შემუშავების წინასწარ განსაზღვრულ სამ ეტაპს:**

- > პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი;
- > ნორმატიული აქტის ტექსტის შემუშავების ეტაპი;
- > ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან.

*შენიშვნა:* მეოთხე კომპონენტი, *Ex-ante* ჩვეულებების გავრცენის შეფასება ბონუსად განიხილება და ახ წახმოდგენს შეფასების ძირითად კომპონენტს.

თითოეული ეტაპი მოიცავს 6-7 ქვეკომპონენტს, რომლებიც შეფასებულია 0-დან 3-მდე შკალით. თავდაპირველად გამოითვლება თითოეული ეტაპის საშუალო მაჩვენებელი 0-დან 3-მდე შკალით. **საბოლოო ქულა წარმოადგენს 3 ეტაპის საშუალო ქულას 0-დან 3-მდე შკალით. რეგულირების გავლენის შეფასების არსებობის შემთხვევაში შეფასების საბოლოო ქულა წარმოადგენს 4 ეტაპის საშუალო ქულას 0-დან 3-მდე შკალით.** საჯარო-კერძო დიალოგისთვის კი ხარისხის მინიჭება ხდება შემდეგი ფორმით:



**ცალკეული კანონის/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საშუალო ქულა ქვეკატეგორიების ქულათა არითმეტიკულ საშუალოს წარმოადგენს.**

საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შესაფასებლად პროექტის გუნდმა ჩაატარა 72 ინტერვიუ საკანონმდებლო აქტების ავტორებთან და კერძო სექტორის წამომადგენლებთან. ინტერვიუებისთვის გამოყენებული იყო წინასწარ მომზადებული კითხვარი, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საზოგადოების ინფორმირებულობა მიმდინარე რეფორმის შესახებ, კერძო სექტორის ჩართულობის ხარისხი, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჩართულობა პროცესში, დოკუმენტის ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისათვის, რეგიონში მცხოვრები საზოგადოების ჩართულობა დიალოგში, მიღებული კომენტარებისა და უკუკავშირის ხარისხი და შედეგი. ასევე, პროექტის გუნდმა მიმოიხილა საკანონმდებლო აქტებთან დაკავშირებული დოკუმენტები.

## ძირითადი მიზნები

- > შერჩეული აქტები ძირითადად საშუალო და მაღალი ხარისხის დიალოგის მქონე აქტებად შეფასდა. მათ შორის, ჭარბობდა საშუალო ხარისხის საჯარო-კერძო დიალოგის მქონე აქტები.
- > ოციდან თექვსმეტი ნორმატიული აქტის მომზადებაში კერძო სექტორი იყო ჩართული, თუმცა სხვადასხვა ეტაპზე და განსხვავებული მონაწილეობის ხარისხით.
- > საჯარო განხილვა ჩატარდა თითქმის ყველა აქტზე, თუმცა, ყველა განხილვა არ იყო წარმომადგენლობითი. რესპონდენტთა აზრით, გარკვეულ შემთხვევებში დისკუსია არ იყო შედეგიანი.
- > საჯარო უწყებათა მცირე ნაწილს არ გამოუქვეყნებია აქტების პროექტები ვებგვერდზე, ფართო საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეთა ნაწილი განხილვებს მიღმა დარჩა.
- > მართალია, საჯარო უწყებების დიდმა ნაწილმა გამოაქვეყნა აქტების პროექტები ვებგვერდებზე, თუმცა აღნიშნული მექანიზმი ეფექტიანი არ იყო - უწყებები ძალიან იშვიათად იღებდნენ კომენტარებს ამ არხის საშუალებით. საჯარო უწყებებმა ამის მიზეზად კერძო სექტორის დაბალი დაინტერესება მიიჩნიეს, თუმცა, კერძო სექტორის ინფორმაციით, გაუჭირდათ ვებგვერდებზე ნავიგაცია და აქტების პროექტების მარტივად მოძიება.
- > ვებგვერდზე გამოქვეყნების მიუხედავად, საჯარო უწყებების უმეტესობამ აქტების პროექტები მიაწოდა მათ მიერ იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონული ფოსტით ან შეხვედრების ფარგლებში.
- > უმეტეს შემთხვევაში, აქტების კონცეფციის ჩამოყალიბების დროს საჯარო უწყებები აანალიზებდნენ საერთაშორისო გამოცდილებას და ამუშავებდნენ სხვადასხვა სახის მონაცემებს, თუმცა ნაკლებად უზიარებდნენ კერძო სექტორს/აქვეყნებდნენ საჯაროდ.
- > ძირითადად, საჯარო უწყებები აქტების პირველად პროექტებს კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე ამზადებდნენ. თუმცა, მათი ნაწილი ეყრდნობოდა პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე კერძო სექტორისგან მიღებულ ინფორმაციას.
- > კერძო სექტორის წარმომადგენლების აზრით, გარკვეულ შემთხვევებში, საჯარო უწყებების მხრიდან უკუკავშირი იყო შაბლონური და არ იყო არგუმენტებით გამყარებული, ხოლო განხილვები იყო ფორმალური ხასიათის და მიზნად არ ისახავდა თანამშრომლობას, ან კერძო სექტორის რეკომენდაციების გათვალისწინებას.

- > შესწავლილი აქტების დიდი ნაწილი, რომლებიც კერძო სექტორის მონაწილეობით მზადდებოდა, მნიშვნელოვნად შეიცვალა მათგან მიღებული კომენტარების შედეგად.
- > ასევე, რაც უფრო აქტიურად იყო არასამთავრობო სექტორი აქტების მომზადების პროცესში ჩართული, მით უკეთესად გავრცელდა ინფორმაცია და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დონეც მაღალი იყო.
- > რეგულირების გავლენის შეფასება განხორციელდა სამ კანონპროექტსა და ერთ კანონქვემდებარე აქტზე. RIA-ს შემუშავება ოთხივე შემთხვევაში დაიწყო კანონპროექტების სამუშაო ვერსიების მომზადების პარალელურად. ორი კანონპროექტის შემთხვევაში RIA-ს მომზადება დასრულდა მათ ინიცირებამდე, ერთ შემთხვევაში კი - ინიცირების შემდეგ. ხოლო კანონქვემდებარე აქტზე RIA მომზადდა საბოლოო პროექტის ჩამოყალიბებამდე. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად, RIA მზადდება მაშინ, როდესაც იგი კანონით სავალდებულოა ნორმატიული აქტისათვის.
- > საჯარო განხილვები, ძირითადად, ტარდებოდა თბილისში და ნაკლებად რეგიონებში.
- > შეფასებული კანონპროექტების მომზადების ვადა მერყეობს დაახლოებით 1-დან 10 წლამდე. გახანგრძლივებული დიალოგით, ძირითადად, კმაყოფილი იყო საჯარო სექტორი, რადგან ხდებოდა არაერთი ინტერაქცია კერძო სექტორთან. თუმცა, რესპონდენტი კერძო სექტორის წარმომადგენლების ნაწილმა ყურადღება გაამახვილა პროცესის არაეფექტიანობაზე. გარკვეულ შემთხვევებში გახანგრძლივებულმა პროცესმა მოახდინა გავლენა მათი ჩართულობის ხარისხის კლებასა და სამომავლო თანამშრომლობაზე.

## მუნიციპალიტეტები

- > მუნიციპალიტეტებში დაინტერესებული მხარეები არ იყვნენ საკმარისად ინფორმირებული საბიუჯეტო ციკლისა და საჯარო უწყებების კომპეტენციების შესახებ.
- > შესაძლოა, საჯარო უწყება აქვეყნებდა ნორმატიული აქტების პროექტებს, თუმცა დაინტერესებული მხარეების ნაწილს უჭირდა მათი მიგნება.
- > ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, ძირითადად, შეხვედრები იმართებოდა მოსახლეობასთან, შედარებით ნაკლებად ბიზნესთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- > ბიუჯეტი განიხილებოდა საჯაროდ, თუმცა, განხილვებზე კერძო სექტორის მონაწილეობა არ იყო მაღალი. გარკვეულ შემთხვევებში, ამის მიზეზი საჯარო სექტორის მხრიდან ინფორმაციის გავრცელების დაბალი ხარისხი იყო, ზოგიერთ შემთხვევაში კი - კერძო სექტორის მოლოდინი, რომ მათი შენიშვნების/ რეკომენდაციების გათვალისწინება არ მოხდებოდა.

## რეკომენდაციები

- საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ზრდისთვის, ასევე, დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის ინფორმირებისთვის, აუცილებელია, აქტების სამუშაო ვერსიების, სხვადასხვა საშუალებით, პროაქტიულად გავრცელება და უწყებების ვებგვერდებზე მათ შესახებ ინფორმაციის მოძიების გამარტივება.
- ნორმატიული აქტის პროექტებთან ერთად, მნიშვნელოვანია ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება და გასაჯაროება. აღნიშნული ხელს შეუწყობს დიალოგის დროს საჯარო უწყებების უკუკავშირის სანდო არგუმენტებით გამყარებას.
- აქტების პირველადი სამუშაო ვერსიების მომზადებაში საჯარო უწყებებმა უნდა ჩართონ კერძო სექტორის წარმომადგენლები, რაც შესაძლებელია ორივე სექტორით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებით.
- კერძო სექტორის ჩართულობის ხარისხის და მოტივაციის ზრდისათვის, აუცილებელია, აქტების მომზადების პროცესის ეფექტიანად დაგეგმვა და წარმართვა. საჯარო განხილვები და არგუმენტირებული უკუკავშირი კი აუცილებელია, რათა დაინტერესებული მხარეები ინფორმირებული იყვნენ მათი კომენტარების/ჩართულობის მნიშვნელობასა და რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე.
- ინფორმაციის გავრცელების და აქტების პროექტების დახვეწისთვის, აუცილებელია, პროცესში ბიზნეს სექტორთან ერთად არასამთავრობო სექტორის აქტიური მონაწილეობაც.
- მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენის მქონე კანონების შემთხვევაში, აუცილებელია რეგულირების გავლენის შეფასების მომზადება, კანონით გათვალისწინებული ვალდებულების მიუხედავად.<sup>2</sup> ხოლო RIA-ს მომზადება სასურველია აქტის პროექტის შემუშავებამდე.
- სასურველია, რომ საჯარო განხილვები იმართებოდეს რეგიონებშიც, რათა მოხდეს რეგიონული სპეციფიკის და ადგილობრივი კერძო სექტორის მოსაზრებების/რეკომენდაციების გათვალისწინება.

<sup>2</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4776100?publication=0>

## მუნიციპალიტეტები


- აუცილებელია, ადგილობრივი მერიისა და საკრებულოს კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელება, რათა აქტების მომზადების პროცესში სწორი/რელევანტური კომუნიკაცია შედგეს დაინტერესებულ მხარეებსა და პასუხისმგებელ უწყებებს შორის. აღნიშნული გაზრდის დაინტერესებულ მხარეთა დიალოგში მონაწილეობის ეფექტიანობას და მათი კონტრიბუციის ხარისხს. ასევე, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში კერძო სექტორის ჩართულობას.
- აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტებში პროაქტიულად გავრცელდეს ინფორმაცია ბიუჯეტის მომზადების ეტაპებისა და ვადების შესახებ.
- პროაქტიულად უნდა მოხდეს დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება ბიუჯეტის პროექტის ელექტრონული ვერსიის ხელმისაწვდომობის შესახებ და უნდა გამარტივდეს ვებგვერდებზე მათი მოძიება.
- აუცილებელია, მოსახლეობის და კერძო სექტორის ჩართულობის ზრდა ეკონომიკური განვითარების მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვაში.

# ნორმატიული აქტების რეიტინგი



შეფასებული 20 ნორმატიული აქტიდან, შვიდი აქტის მომზადებისას განხორციელებული საჯარო-კერძო დიალოგი შეფასდა მაღალი ხარისხით, ათი აქტის შემთხვევაში - საშუალო, ხოლო სამ შემთხვევაში - დაბალი ხარისხით.

**კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების** შეფასების საშუალო მაჩვენებელმა 1.75<sup>3</sup> შეადგინა. აღნიშნული ჩვენი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება. ექვსი აქტი შეფასდა მაღალი, შვიდი - საშუალო და სამი - დაბალი ხარისხით. ნორმატიულმა აქტმა „საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია (2021-2025) და საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიის (2021-2022) სამოქმედო გეგმა“ ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო (2.72).



<sup>3</sup> ოთხი ეტაპის არითმეტიკული საშუალო




**გრაფიკი 1: კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საერთო რაიტიინგი**



კანონების შეფასების საშუალო მაჩვენებელმა 1.76<sup>4</sup> შეადგინა. აღნიშნული ჩვენი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება. ოთხი კანონი შეფასდა მაღალი, ორი - საშუალო და ორიც - დაბალი ხარისხით. „**წყლის რესურსების მართვის შესახებ**“ კანონმა ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო (2.64).

**გრაფიკი 2: კანონების რეიტინგი**



კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასების საშუალო მაჩვენებელმა 1.75<sup>5</sup> შეადგინა. აღნიშნული ჩვენი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება. ორი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი შეფასდა მაღალი, ხუთი - საშუალო და ერთი - დაბალი ხარისხით. კანონქვემდებარე ნორმატიულმა აქტმა „**საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია (2021-2025) და საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიის (2021-2022) სამოქმედო გეგმა**“ ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო (2.72) კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს შორის. მხოლოდ ერთი კანონქვემდებარე აქტის შემთხვევაში მომზადდა RIA, რამაც მისი დიალოგის ხარისხი საშუალოდან მაღალ დონემდე გაზარდა.

<sup>4</sup> ოთხი ეტაპის არითმეტიკული საშუალო

<sup>5</sup> სამი ეტაპის არითმეტიკული საშუალო



**გრაფიკი 3: კანონმდებლურ ნორმატიული აქტების რეიტინგი**



მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტების შეფასების საშუალო მაჩვენებელი 1.91<sup>6</sup> შეადგინა. აღნიშნული ჩვენი მეთოდოლოგიით განსაზღვრულ საშუალო შეფასებაში მოიაზრება. ყველაზე მაღალი შეფასება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურულმა პრიორიტეტმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ ქულებს შორის არ იყო დიდი დიაპაზონი და ქ. ბათუმის შემთხვევაშიც, შეფასება გადაიხარა საშუალო დონის დიალოგისკენ.

<sup>6</sup> სამი ეტაპის არითმეტიკული საშუალო

**გრაფიკი 4: მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტების რევიზია**



# ნორმატიული აქტების შეფასება

## 1. კანონების შეფასება

კანონი: „წყლის რესურსების მართვის შესახებ“

ავტორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ნომერი: 07-2/86/10

თარიღი: 15/11/2021

2.64

### ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება ზედაპირული და მიწის-ქვეშა მტკნარი წყლები და მათი დაცვითი ზონები. კანონით განსაზღვრულია წყლის რესურსების დაცვისა და სარგებლობის სფეროში სხვადასხვა უწყებების და მუნიციპალიტეტების კომპეტენციები. იგი შეიცავს წყლის რესურსების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებულ, ასევე, წყლის ობიექტების და მათი დაცვის ზონების მარეგულირებელ ნორმებს. კანონპროექტში მოცემულია წყალ სარგებლობასთან დაკავშირებული დებულებები. ასევე, ეხება წყლის რესურსების მართვის სისტემას, მისი დაცვის და აღდგენის საკითხებს, გამოყენების კონტროლს<sup>7</sup>.

### პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავება

2.6

კანონპროექტზე მუშაობა დაიწყო 2012 წელს, ქვეყანაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს მხარდაჭერას წყლის შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში. პროექტის დახმარებით, დაიწყო კონცეფციაზე მუშაობა, რომელიც იქმნებოდა ადგილობრივი დარგის სპეციალისტის მიერ, უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. ამის პარალელურად მიმდინარეობდა შეხვედრები და განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან ძირითადი პრინციპების შესათანხმებლად.

<sup>7</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/285759>

რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ჰქონდათ ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე და მონაწილეობდნენ საჯარო განხილვებში. ინტერვიუების თანახმად, საწყის ეტაპზე, ბიზნეს სექტორთან შედარებით, უფრო აქტიურად არასამთავრობო სექტორი იყო ჩართული.

ასოცირების შეთანხმებამდე მომზადდა ევროკავშირის დირექტივებთან შედარებითი ანალიზი, რომ განსაზღვრულიყო რომელი დირექტივა რა ფორმით უნდა მორგებოდა საქართველოს რეალობას. აღნიშნული დოკუმენტი არ გამოქვეყნებულა, თუმცა გაზიარდა საჯარო განხილვის მონაწილე დაინტერესებულ მხარეებთან.

### **კანონპროექტის ტექსტის შენეგავა**

**2.4**

კონცეფციაზე შეჯერების შემდეგ, 2013-2014 წლებიდან დაიწყო კანონპროექტის ტექსტზე მუშაობა. პირველადი სამუშაო ვერსია მომზადდა ადგილობრივი ექსპერტის მიერ, უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

ამ ეტაპზე, ჩართულ მხარეებთან შეხვედრები გრძელდებოდა, თუმცა უფრო ნაკლები ინტენსიურობით და მათ შორის კომუნიკაცია ძირითადად ხდებოდა წერილობით. პირველადი სამუშაო ვერსია, მომზადების შემდეგ, გადაეგზავნა დაინტერესებულ მხარეებს, რის შედეგადაც საჯარო სექტორმა მიიღო არაერთი შენიშვნა/კომენტარი. მათი განხილვა ხდებოდა მუხლობრივად არასამთავრობო სექტორთან, განხილვებოდა ტექნიკური დეტალები და მათი შენიშვნების საფუძველზე კანონპროექტის ტექსტში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

### **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.6**

კანონპროექტის შემუშავების პროცესში ჩატარდა არაერთი შეხვედრა, როგორც საჯარო უწყებებს შორის, ასევე საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში მაღალი რგოლის მენეჯმენტის აქტიური ჩართულობით. ტარდებოდა საჯარო განხილვები, სამუშაო ფორმატის შეხვედრები და ინდივიდუალური კონსულტაციები.

არასამთავრობო სექტორის ინიციატივით და აქტიური ჩართულობით, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩატარდა საჯარო განხილვები, კანონპროექტზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით. მათი საშუალებით ხდებოდა კომენტარების მიწოდება სამინისტროს წარმომადგენლებისთვის, ხოლო სამინისტროს მხრიდან უკუკავშირი ძირითადად ხორციელდებოდა სამუშაო შეხვედრის ფორმატში, ან წერილობით.

რესპონდენტთა ნაწილი (როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები) აღნიშნავს, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის კიდევ უფრო მეტი სამუშაოს განხორციელება შეიძლებოდა, რადგან მუნიციპალიტეტების ინფორმირება ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო. თუმცა, გამოითქვა მოსაზრებაც, რომ კანონპროექტის მომზადების გახანგრძლივებულმა პროცესმა დაინტერესებული მხარეების ნაწილის ნაკლები ჩართულობა გამოიწვია.

### **რეგულირების გავლენის შეფასება**

**2.8**

2017 წელს, კანონპროექტის მომზადების პარალელურად მომზადდა სიღრმისეული რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი, ამ ეტაპზე კანონპროექტის სამუშაო ვერსია განიხილა პერიოდულ ცვლილებებს.

RIA მომზადდა კვლევითი ორგანიზაციის მიერ, USAID-ის მხარდაჭერით და ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული მხარეების უმეტესობისთვის. ასევე, ჩატარდა შუალედური და საბოლოო ანგარიშების განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები.

### **კანონი: „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“**

**ავტორი: საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფი, საქართველოს კონკურენციის სააგენტო**

**2.52**

**ნომერი: 1455-VIIIმს-Xმპ**

**თარიღი: 29/03/2022**

### **ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:**

2012 წელს გაუქმდა კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რადგან აღნიშნული კანონი აღარ შეესაბამებოდა მომხმარებლის მოვაჭრესთან ურთიერთობის თანამედროვე, მათ შორის ევროკავშირის, სტანდარტებს. მალევე საქართველოს პარლამენტმა დაიწყო ახალ კანონპროექტზე მუშაობა. 2022 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულების შესაბამისად, პარლამენტმა მიიღო კანონი „მომხმარებლის

უფლებების დაცვის შესახებ“<sup>8</sup> რომელიც ეფუძნება ევროკავშირის რამდენიმე საკანონმდებლო აქტს და უზრუნველყოფს მომხმარებლის დაცვას უფრო მაღალი სტანდარტებით. კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩართული იყვნენ დონორი ორგანიზაციები და საერთაშორისო ექსპერტები. მათი მხარდაჭერით დაიწერა კანონპროექტის სამუშაო ვერსია, მომზადდა სამართლებრივი დასკვნა.

კანონი მომხმარებელს იცავს ხელშეკრულების უსამართლო პირობებისა და უსამართლო კომერციული პრაქტიკისგან, უზრუნველყოფს მომხმარებლის მეტად ინფორმირებულობას, განსაზღვრავს ხელშეკრულების გაუქმების პირობებს. კანონის დარღვევის შემთხვევაში დადგენილია ჯარიმის განსაზღვრის და დაკისრების წესები, ითვალისწინებს დისტანციურად/სარეზინის გარეთ დადებული ხელშეკრულებზე უარის თქმის უფლებას, გარანტიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

განმარტებითი ბარათის მიხედვით, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა ჩამოაყალიბა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი. კერძო სექტორის მხრიდან განხილვებში მონაწილეობდნენ თემატური არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნეს ასოციაციები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, ექსპერტები და მოსამართლეები. ამ ფორმატში, კანონპროექტის მომზადების პერიოდში, ჩატარდა 13 სამუშაო შეხვედრა<sup>9</sup>

კანონპროექტი ინიცირდა ორჯერ - 2015 და 2019 წელს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ანგარიშის მიხედვით<sup>10</sup>, 2015 წელს ინიცირებული კანონპროექტის მოსმენები შეჩერდა არსებული სადავო საკითხების გამო. 2017 წელს, GIZ-ის მხარდაჭერით, საერთაშორისო ექსპერტმა შეაფასა სამუშაო ვერსია და წარმოადგინა რეკომენდაციები, რის შემდეგაც გაგრძელდა სამუშაო ვერსიის დახვეწა და კანონპროექტი ინიცირდა 2019 წელს.

<sup>8</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/18389>

<sup>9</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224265>

<sup>10</sup> Final report - Support to the development of Private and Administrative Law System in Georgia, GIZ, 2018



**კოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შენახვა**

**2.4**

რესპონდენტების ინფორმაციით, კანონპროექტზე მუშაობა დაიწყო 2012 წლიდან. კანონპროექტის ძირითად პრინციპებზე შეთანხმების მიზნით, ჩატარდა გაფართოებული შეხვედრა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის. რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ჰქონდათ ინფორმაცია და ესწრებოდნენ აღნიშნულ შეხვედრას. ინტერვიუების თანახმად, საწყის ეტაპზე ბიზნეს სექტორზე მეტად არასამთავრობო სექტორი იყო პროცესში ჩართული. კანონპროექტის თემატიკაზე მზადდებოდა ანალიზი და უზიარდებოდა სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს, თუმცა არ ქვეყნდებოდა საჯაროდ. გადაწყვეტილების მიმღები პირები მუდმივად იყვნენ პროცესში ჩართული.

**კანონპროექტის ტექსტის შენახვა**

**2.4**

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით ჩამოყალიბდა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის წევრები საწყის ეტაპზე ძირითადად იყვნენ მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები, რომელთაც შემდგომში შეუერთდნენ მსხვილი ასოციაციები. პირველადი სამუშაო ვერსია მომზადდა კომიტეტის მიერ, საერთაშორისო ექსპერტის მხარდაჭერით, ხოლო შემდეგ დასამუშავებლად გადაეცა სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ვერსიის განხილვა მიმდინარეობდა ინტერაქტიულ რეჟიმში. საჯარო სექტორმა მიიღო არაერთი კომენტარი, რის საფუძველზეც კანონპროექტის ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. გადაწყვეტილების მიმღები პირები მუდმივად ჩართული იყვნენ პროცესში.

**ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.6**

კანონპროექტის დამუშავების პროცესში ჩატარდა არაერთი შეხვედრა, მათ შორის, საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში. ტარდებოდა კონფერენციები, მრგვალი მაგიდის შეხვედრები. საჯარო უწყება კომენტარებს იღებდა როგორც წერილობით, ისე განხილვების პროცესში. უკუკავშირი ძირითადად ხდებოდა სამუშაო შეხვედრების ფორმატში ან წერილობით. განხილვები არ ჩატარებულა რეგიონებში, თუმცა, განხილვებში მონაწილე მხარეების ნაწილი საქმიანობას ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით. საჯარო უწყების ინფორმაციით, ინიცირებამდე საბოლოო სამუშაო ვერსია დაიგზავნა ყველა ჩართულ მხარესთან თუმცა, არ გამოქვეყნებულა უწყების ვებგვერდზე. კანონპროექტზე აქტიური მუშაობის მიუხედავად, რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა პროცესის ხანგრძლივობის არაეფექტიანობა.

## რეგულირების გავლენის შეფასება

2.7

კანონპროექტის მომზადების პარალელურად მომზადდა ორი RIA. პირველი, ნაწილობრივი RIA, მომზადდა ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით დარგის ექსპერტის მიერ 2016 წელს და ეხებოდა კანონის რამდენიმე მუხლს. მეორე, ყოვლისმომცველი RIA, კი მომზადდა 2018 წელს საერთაშორისო ექსპერტებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლების მონაწილეობით, GIZ-ის მხარდაჭერით. ორივე მათგანი მომზადდა კანონპროექტის საბოლოო ინიცირებამდე და ხელმისაწვდომი იყო რესპონდენტთა დიდი ნაწილისთვის. ყოვლისმომცველი RIA-ს შუალედური განხილვა ჩატარდა საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად. მის საბოლოო განხილვაზე მიწვეული იყვნენ ძირითადი დაინტერესებული მხარეები და შეხვედრაც იყო წარმომადგენლობითი.

კანონი: „საჯარო შესყიდვების შესახებ“

ავტორი: სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ნომერი: 07-2/158/10

თარიღი: 08/06/2022

2.15

## ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

კანონის მიღება განპირობებული იყო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, მათ შორის, DCFTA-ს ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებით.

კანონი ადგენს საჯარო შესყიდვის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს. აწესრიგებს საჯარო შესყიდვების სააგენტოსთან (ამჟამად - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) დაკავშირებულ საკითხებს, განისაზღვრება სააგენტოს ძირითადი ფუნქციები, სააგენტოს თავმჯდომარის უფლება-მოსილება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აწესრიგებს საჯარო შესყიდვის პროცედურებს, განსაზღვრავს საჯარო შესყიდვის ინსტრუმენტებს, მაგ. ჩარჩო შეთანხმება; დინამიკური შესყიდვის სისტემა; ელექტრონული რევერსული აუქციონი; ელექტრონული კატალოგი. კანონით დგინდება საჯარო შესყიდვების სრული პროცესი, დავების გადაჭრა, ანგარიშგება და კონტროლი!<sup>11</sup>

კანონპროექტი დაინიცირდა 2022 წელს, ხოლო მიღებული იქნა 2023 წლის თებერვალში.

<sup>11</sup><https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/301924>

## **კოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემაჯავებელი**

**2.1**

კანონპროექტზე მუშაობა დაიწყო 2017 წლიდან. მისი მომზადება მოხდა DCFTA-ს ფარგლებში, ევროკავშირის დირექტივებზე დაყრდნობით. კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით ინფორმაცია ვრცელდებოდა როგორც DCFTA-ს ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრების დროს, ასევე, სოციალური ქსელების და სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით.

საწყის ეტაპზე, საჯარო განხილვები იმართებოდა DCFTA-ს საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში, რომლებზეც, შესყიდვების სააგენტოზე დაყრდნობით, ხდებოდა აღნიშნული კანონპროექტის პრინციპების განხილვა და მის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული ტიპის შეხვედრები ტარდებოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, საჯარო უწყების მხრიდან გადაწყვეტილების მიმღები პირების ჩართულობით. ასევე, საერთაშორისო ექსპერტები ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს დაინტერესებული მხარეების ნაწილთან.

ანალიტიკური დოკუმენტაცია არ მომზადებულა, გარდა არსებული სამოქმედო გეგმის, რომელიც შემუშავდა DCFTA-ს ფარგლებში და განერილია კანონპროექტში გასათვალისწინებელი საკითხები.

## **კანონპროექტის ტექსტის შემაჯავებელი**

**2.0**

კანონპროექტის პირველად სამუშაო ვერსიაზე მუშაობა დაიწყო 2017 წელს. ამ ეტაპზე, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, სხვადასხვა საჯარო განხილვების და შეხვედრების ფარგლებში, მიენოდათ ინფორმაცია ახალი კანონპროექტზე მუშაობის დაწყების შესახებ.

კანონპროექტის ტექსტი, შეიმუშავა საჯარო უწყებამ უცხოელი ექსპერტების ჩართულობით და შემდეგ მიენოდა დაინტერესებული მხარეების უმეტესობას გასაცნობად და კომენტარებისთვის, თუმცა საჯარო განხილვა ამ ეტაპზე არ მომხდარა და დაინტერესებული მხარეების ნაწილისგან კომენტარები მიიღეს წერილობით.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში, არასამთავრობო სექტორისგან განსხვავებით, ბიზნეს სექტორი მეტ ინფორმაციას ფლობდა და შესაბამისად, მათი ჩართულობის დონეც უფრო მაღალი იყო. გადაწყვეტილების მიმღები პირები მუდმივად ჩართული იყვნენ პროცესში.

## **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.2**

კანონპროექტის მომზადების პროცესში კერძო სექტორის წარმომადგენლების ნაწილთან ჩატარდა ინდივიდუალური შეხვედრები. საჯარო უწყება კომენტარებს იღებდა როგორც წერილობით, ისე სამუშაო შეხვედრების დროს. დაინტერესებული მხარეების ნაწილთან კომუნიკაცია და უკუკავშირი ხორციელდებოდა სატელეფონო ზარებით.

კერძო სექტორის ინფორმაციით, ინიცირებამდე საბოლოო სამუშაო ვერსიის ფართო საჯარო განხილვა არ ჩატარებულა, თუმცა საჯარო უწყების ინფორმაციით, გამოქვეყნებული იყო შესყიდვების სააგენტოს და DCFTA-ს ვებგვერდებზე და პროექტი განიხილეს როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ საჯარო უწყებისგან რამდენიმე შეხვედრის ფარგლებში, მოითხოვეს კანონპროექტის სამუშაო ვერსია, თუმცა დოკუმენტი არ მიუღიათ.

## **რეგულირების გავლენის შეფასება**

**2.3**

კანონპროექტის ერთ თავზე მომზადდა რეგულირების გავლენის შეფასება. ასევე, სრულ კანონზე მომზადდა ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი. მათზე იმუშავეს კვლევითმა ორგანიზაციამ და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა. ორივე დოკუმენტის მომზადება დაიწყო კანონპროექტის სამუშაო ვერსიის პარალელურად. პირველ შემთხვევაში დოკუმენტის შემუშავება დასრულდა საბოლოო დრაფტის მომზადებამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში ანალიზი გასაჯაროვდა ინიცირების შემდეგ.

ორივე შემთხვევაში, მზადების პროცესში სამუშაო ჯგუფებს ჰქონდათ შეხვედრები დაინტერესებული მხარეების, ძირითადად ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ნაწილთან. ასევე, სპეციფიური საკითხების დასაზუსტებლად ინტენსიური შეხვედრები მიმდინარეობდა შესყიდვების სააგენტოსთან და სხვა საჯარო უწყებებთან.

კანონი: „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“

ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ნომერი: 2112-IXმს-ჯმპ

თარიღი: 29/11/2022

2.10

### ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

იპოთეკური ობლიგაციების ემისია, დეპოზიტებთან და სხვა ალტერნატიულ წყაროებთან ერთად, საკრედიტო ინსტიტუტებისათვის, დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა, მსგავსი ფინანსური პროდუქტის დანერგვა კი საჭიროებს სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს. წინამდებარე კანონი განსაზღვრავს და აწესრიგებს იპოთეკური ობლიგაციების ემისიასთან, ემიტენტის ზედამხედველობასთან და ასევე, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების საკითხებს<sup>12</sup>

კანონი განსაზღვრავს თუ რომელი/როგორი აქტივებითაა შესაძლებელი იპოთეკური ობლიგაციების უზრუნველყოფა და რომელი აქტივებია დაუშვებელი; ადგენს უძრავი ქონების შეფასების სტანდარტებს და მოთხოვნებს შემფასებლისადმი; აყალიბებს ემისიასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და სხვ.

განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტი მომზადდა აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტთა ჩართულობით<sup>13</sup>

### პოლიტიკის გოგადი მიმართულებების შეფუთვა

2.8

2018 წლიდან დაიწყო კანონპროექტის კონცეპტუალურ საკითხებზე მუშაობა, რომელშიც ჩართული იყო აზიის განვითარების ბანკის (ADB) ექსპერტი. ამ პერიოდში მომზადდა მიზანშეწონილობის შეფასება და ჩამოყალიბდა კანონპროექტში გასათვალისწინებელი ძირითადი პრინციპები. დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა ინფორმირებული იყო დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე. პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მათთან შედეგ

<sup>12</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/23711>

<sup>13</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/295769>

<p>დაახლოებით 15 შეხვედრა, გადაწყვეტილების მიმღები პირების მონაწილეობით. შეხვედრების მიზანი ძირითადი პრინციპების განხილვა და პრინციპული საკითხების შეჯერება იყო. არ ჩატარებულა რეგიონული შეხვედრები, რადგან კანონპროექტს არ აქვს რეგიონული კონტექსტი და ეხება მხოლოდ კომერციულ ბანკებს.</p>	
<p><b>კანონპროექტის ტექსტის შეფასება</b></p> <p>კანონპროექტის პირველი სამუშაო ვერსია მომზადდა ADB-ს ექსპერტის მიერ, რომელიც შემდგომში გადამუშავდა ეროვნული ბანკის მიერ, კერძო სექტორთან თანამშრომლობით. სამუშაო ვერსიის განხილვის მიზნით ჩატარდა როგორც გაფართოებული, ისე ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან და განახლებული სამუშაო ვერსია რამდენჯერმე გაზიარდა კერძო სექტორთან. რესპონდენტთა ინფორმაციით, განხილვები იყო საფუძვლიანი და ნაყოფიერი.</p>	<p><b>2.4</b></p>
<p><b>ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან</b></p> <p>კანონპროექტის სამუშაო ვერსია ინიცირებამდე გამოქვეყნდა ეროვნული ბანკის ვებგვერდზე, თუმცა, ამ გზით, საჯარო უწყებამ ვერ მიიღო კომენტარები/შენიშვნები. ასევე, სამუშაო ვერსია ელექტრონულად გაზიარდა დაინტერესებულ მხარეებთან და ჩატარდა საჯარო განხილვა. კომუნიკაცია საჯარო და კერძო სექტორს შორის მიმდინარეობდა როგორც წერილობით, ისე შეხვედრების ფორმატში. დაინტერესებულმა მხარეებმა შენიშვნები და კომენტარები გაუგზავნეს საჯარო უწყებას, რომელთა ნაწილი აისახა კანონპროექტში. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საჯარო უწყების მხრიდან უკუკავშირი არგუმენტირებული იყო.</p>	<p><b>3.0</b></p>
<p><b>რეგულირების გავლენის შეფასება</b></p> <p>რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ.</p>	<p><b>0.2</b></p>

კანონი: „საქართველოს საპატენტო კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“

ავტორი: სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

ნომერი: 07-2/144/10

თარიღი: 04/05/2022

1.88

### **ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:**

კანონპროექტის მიზანია 2019 წელს საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას (EPO) შორის გაფორმებული ვალიდაციის შეთანხმების ძალაში შესვლისთვის საჭირო ვალდებულებების შესრულება. ამასთან, მისი ამოცანაა ქართული კანონმდებლობის ევროპის საპატენტო კონვენციასთან (EPC), ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საპატენტო კანონის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებასთან (PLT) შესაბამისობის უზრუნველყოფა.<sup>14</sup>

ამჟამად, საქართველოში გამოგონებაზე პატენტის მიღება შესაძლებელია ორი მეთოდით, ხოლო ცვლილების მიღების შემთხვევაში, დაემატება მესამე მეთოდი, რაც გულისხმობს ევროპული პატენტის ვალიდაციას. დაზუსტდა გამომგონებლის და პატენტმფლობელის უფლებები, დაემატა პატენტრწმუნებულთან დაკავშირებული საკითხები, ვალიდაციის შესახებ განაცხადების წარდგენის პირობები კი განისაზღვრა PTL-ის შესაბამისად.

განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტი მომზადდა ევროპის საპატენტო ორგანიზაციის (EPO) მხარდაჭერით.<sup>15</sup>

კანონპროექტი დაინიცირდა 2022 წლის მაისში, ხოლო მიღებულ იქნა 2023 წლის მაისში.

### **პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფუთვა**

2.7

დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე კერძო სექტორი ინფორმირებული იყო კანონპროექტის მომზადებამდე ბევრად ადრე. არ მომზადებულა ანალიტიკური დოკუმენტი, თუმცა, განმარტებითი ბარათის მიხედვით, ეროვნულ

<sup>14</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/24117>

<sup>15</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/299433>



<p>კანონმდებლობაში ცვლილებების ასახვის მიზნით მოხდა მოლდოვას, უნგრეთის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების და კანონმდებლობის გაცნობა. კანონპროექტის კონცეფციის მომზადების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები და დარგის სპეციალისტები.</p>	
<p><b>კანონპროექტის ტექსტის შეფასება</b></p> <p>კანონპროექტის პირველადი ვერსია მომზადდა საქპატენტის მიერ, შემდეგ კი ტექსტი გაზიარდა დაინტერესებულ მხარეებთან შენიშვნებისა და კომენტარების მიღების მიზნით. დაინტერესებული მხარეები საჯარო უწყებას წერილობით აწვდიდნენ შენიშვნებს, რომელთა განხილვა და უკუკავშირი ხდებოდა შეხვედრებზე. ამ ეტაპზე განხილვებში ძირითადად სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. ყველა პრინციპულ საკითხზე შედგა კონსულსი საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის.</p>	<p><b>2.2</b></p>
<p><b>ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან</b></p> <p>კანონპროექტის სამუშაო ვერსია ინიცირებამდე არ გამოქვეყნებულა. კერძო სექტორის წარმომადგენლებმა ელექტრონულად მიიღეს საბოლოო ვერსია კომენტარებისთვის, თუმცა, არ შემდგარა საბოლოო ვერსიის საჯარო განხილვა. რესპონდენტთა ინფორმაციით, საბოლოო პროექტზე აღარ ჰქონდათ შენიშვნები, რადგან პრინციპული საკითხები შეთანხმებული იყო. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე არ ჩატარებულა განხილვები რეგიონებში.</p>	<p><b>2.5</b></p>
<p><b>რეგულირების გავლენის შეფასება</b></p> <p>რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ.</p>	<p><b>0.2</b></p>



კანონი: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ

ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები

ნომერი: 1706-VIIIმს-Xმპ

თარიღი: 23/06/2022

1.48

### ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

კოდექსში ცვლილებების<sup>16</sup> მიღება განპირობებული იყო COVID-19 პანდემიით. კერძოდ, ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვები შეეხო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასაც. ამ საქმიანობით დაკავებული პირების ზარალის შესამცირებლად და მათი საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, აუცილებელი იყო ცალკეული ღონისძიებების გატარება. კანონპროექტის მიზანი იყო, რომ 2020-2021 წლებში ქონების გადასახადისგან (გარდა მიწის გადასახადისა) ბიზნეს სუბიექტების გათავისუფლება, რაც მათ პანდემიის გამო შექმნილი გარკვეული სიძნელების გადალახვაში დაეხმარებოდა.

კოდექსში ცვლილების შედეგად, ქონების გადასახადზე მიიღეს შეღავათები შემდეგმა ეკონომიკურმა სუბიექტებმა: სასტუმროებმა და სხვა განთავსების საშუალებებმა, რესტორნებმა და სხვა კვების ობიექტებმა, სასმელებით მომსახურების საქმიანობებმა, ტურისტულმა სააგენტოებმა, ტურ-ოპერატორებმა და სხვა დაჯავშნის ოპერატორებმა. კანონპროექტის მომზადება დაიწყო 2021 წლის აპრილი-მაისის პერიოდში და დაჩქარებული წესით დაინიცირდა ივნისში<sup>17</sup>.

**შენიშვნა:** აღნიშნულმა კანონპროექტმა ანგაჩიშში გამოყენებული მეთოდოლოგიით მიიღო საშუალო შეფასება, იმ საკითხის გათვალისწინებით, რომ პირობები მიმდინარეობდა დაჩქარებულად და შესაბამისად, ნაკლები იყო საჭირო განხილვები. თუმცა, როგორც საჭირო, ასევე კეიდო სექტორის მხრიდან ხესპონდენტების ინტეგრაციების შედეგად მოსამზადებელი პირობები და მიღებული ცვლილება დადებითად შეფასდა.

<sup>16</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/23998>

<sup>17</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5501407?publication=0>

<p><b>კოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფასება</b></p> <p>კანონპროექტის შემუშავებამდე ტარდებოდა შეხვედრები ბიზნეს ასოციაციებს და მსხვილ ბიზნეს ოპერატორებს შორის, სადაც განხილული იყო პანდემიით შექმნილი გამოწვევები. რადგან ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობების მქონე ბიზნეს სუბიექტები მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე იდგნენ და უჭირდათ საოპერაციო შემოსავლების მიღება, ბიზნესის შესანარჩუნებლად, გამოთქმული იყო მოსაზრებები საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებით. აღნიშნულმა საკითხმა გაიჟღერა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებიდანაც.</p>	<p><b>2.1</b></p>
<p><b>კანონპროექტის ტექსტის შეფასება</b></p> <p>კერძო სექტორის მიერ ინიციატივის საჯარო სექტორთან გაზიარების შემდეგ, ჩატარდა შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების ერთობლივი შეხვედრა, სადაც ჩამოყალიბდა კოდექსში ცვლილებების კონცეფცია. შემდეგ კი საჯარო უწყების მიერ შემუშავდა კანონპროექტის ტექსტი საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.</p>	<p><b>1.4</b></p>
<p><b>ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების შრიდან</b></p> <p>საბოლოო პროექტი გაიგზავნა ბენეფიციარების ნაწილთან და განსახილველად ჩატარდა მათთან შეხვედრაც. რესპონდენტების ინფორმაციით, იყო გარკვეული კომენტარი, თუმცა, რადგან დაჩქარებული წესით უნდა მომხდარიყო კანონპროექტის მიღება და ეს კერძო სექტორის ინტერესსაც წარმოადგენდა, პროექტში ცვლილებები აღარ შესულა. გადაწყვეტილების მიმღები პირები მუდმივად ჩართული იყვნენ პროცესში.</p>	<p><b>2.2</b></p>
<p><b>რეგულირების გავლენის შეფასება</b></p> <p>რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი<sup>18</sup> შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ.</p>	<p><b>0.2</b></p>

<sup>18</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/298460>

კანონი: „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ

ავტორი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

0.90

ნომერი: 1712-VIIIმს-Xმპ

თარიღი: 23/06/2022

### **ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:**

რეგულაცია<sup>19</sup> ეხება ქალაქ ბათუმში ავარიული სახლების მაცხოვრებლებს, ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილებას, სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტის განხორციელებას. კანონპროექტში ცვლილების მიხედვით, 2027 წლამდე (ბათუმის განაშენიანების გენერალური გეგმის დამტკიცებამდე) სათათბირო საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში განაშენიანების დეტალური გეგმის გარეშე შესაძლებელი იქნება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა.

დადგენილების მიხედვით, თუ საცხოვრებელი სახლი ავარიულია და არ ექვემდებარება გამაგრებას, ამ შემთხვევაშიც სპეციალური სარეკომენდაციო საბჭოს დასკვნების საფუძველზე, დეტალური გეგმის არსებობის გარეშე, დასაშვები იქნება განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება. აღნიშნულზე ბათუმის მერი იღებს გადაწყვეტილებას, მხოლოდ სათათბირო საბჭოს დადებითი დასკვნის საფუძველზე. სათათბირო საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს მერი, საქმიანობის წესს კი ამტკიცებს საკრებულო.

**შენიშვნა:** IDFI-ს გუნდმა ოფიციალურად მოითხოვა ინფორმაცია ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, ხოგოხც კანონპროექტის ავტორისგან, თუმცა ვეხ მიიღო ინფორმაცია პროექტის მომზადების პროცესის შესახებ. შესაბამისად, ვეხ მოახდინა ჩახიული მხაჩეების სხუდად იდენტიფიცირება. შეფასების მიზნით, ანალიტიკოსთა გუნდი დაეყვივნო ახასამთავრობო სექტორის წახმომადგენლების და საკრებულოს წევრების მხიდან მიწოდებულ და ასევე, განმახტებით ბაჩათში მოცემულ ინფორმაციას, ხომედიც აჩ იძღევა კანონპროექტის მომზადების შესახებ დეგადუხ ინფორმაციას. შესაბამისად, შეფასდა მხოლოდ ის საკითხები, ჩაზეც IDFI-მ შედგო ინფორმაციის მიღება.

კანონპროექტში ცვლილება დაჩქაჩებული წესით შევიდა.<sup>20</sup>

<sup>19</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/302651?>

<sup>20</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/24375>

## **კოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფუთვა**

**1.8**

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ინფორმაცია კანონპროექტის შემუშავების საჭიროებაზე იყო საკმაოდ ფართოდ გავრცელებული. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები ბენეფიციარებს და საჯარო სექტორს შორის. ავარიული სახლების დემონტაჟის პროგრამა ქალაქ ბათუმის მერიამ 2022 წლის დასაწყისში დააანონსა. 2022 წლის 29 მარტს გამოიცა მთავრობის №159 დადგენილება „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე – სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“<sup>21</sup>.

კანონპროექტის შესახებ ინფორმაცია გაჟღერდა პრემიერის მიერ, ერთ-ერთ კონფერენციაზე, რის შემდეგაც იყო შეხვედრა ქალაქ ბათუმის მოსახლეობასთან. ინფორმაცია გავრცელდა როგორც ტელევიზიით, ასევე სოციალური ქსელების საშუალებით. ასევე, მოსახლეობაში ვრცელდებოდა საინფორმაციო ბუკლეტები, კანონპროექტის შინაარსთან დაკავშირებით, თუმცა კერძო სექტორის ნაწილის ინტერვიუებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ბუკლეტებში მოსახლეობისთვის საკვანძო საკითხები ნახსენები არ იყო.

ავარიული სახლების შეფასების მიზნით ჩატარდა ექსპერტიზა, თუმცა კერძო სექტორის წარმომადგენლების ინფორმაციით, აღნიშნული დასკვნა იყო ზედაპირული და საკითხი სიღრმისეულად არ შეუსწავლიათ.

## **კანონპროექტის ტექსტის შეფუთვა**

**1.6**

კანონპროექტის ტექსტი შეიმუშავა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ. რესპონდენტთა ნაწილის ინფორმაციით, კანონპროექტზე მუშაობის დროს ჩატარდა დახურული ფორმატის შეხვედრები მეტწილად ბათუმში მოქმედ მსხვილ დეველოპერულ კომპანიებთან.

საკითხი რამოდენიმეჯერ განიხილეს საკრებულოს სხდომებზე და დაინტერესებული მხარეების მხრიდან მიმართვიანობა იყო საკმაოდ მაღალი. კერძო სექტორის წარმომადგენლებმა, რომლებიც ქალაქში ავარიული სახლების საკითხს იკვლევდნენ კანონპროექტის ავტორებს მიაწოდეს გარკვეული ანალიტიკური დოკუმენტაცია და რეკომენდაციები, თუმცა მათი ასახვა პროექტში არ მომხდარა. კერძო სექტორს არ მიუღია უკუკავშირი საჯარო უწყების მხრიდან.

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ რესპონდენტთა ნაწილი არ ფლობდა ინფორმაციას პროცესის ამ ნაწილზე.

<sup>21</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5422452?publication=0>

<p><b>ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან</b></p> <p>ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციით, კანონპროექტი პარლამენტში ინიცირებამდე არ გამოქვეყნებულა და არ გაზიარებულა კერძო სექტორთან. არ ჩატარებულა პროექტის საჯარო განხილვა.</p>	<p><b>0.0</b></p>
<p><b>რეგულირების გავლენის შეფასება</b></p> <p>რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი<sup>22</sup> შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას ბიუჯეტზე კანონპროექტის შესაძლო გავლენის შესახებ.</p>	<p><b>0.2</b></p>

<p><b>კანონპროექტი: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“</b></p> <p><b>ავტორი: საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ აპარატი</b></p> <p><b>ნომერი: 07-3/211/10</b></p> <p><b>თარიღი: 18/05/2022</b></p>	<p><b>0.39</b></p>
---	--------------------


<p><b>ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:</b></p> <p>კანონპროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების უფლებამოსილების გაზრდას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული გარკვეული სამართალდარღვევების შემთხვევაში. ცვლილების მიზანია, რომ მუნიციპალიტეტების მერიების სამსახურებმა არა მხოლოდ აღრიცხონ სამართალდარღვევა, არამედ დამრღვევს დააკისრონ ჯარიმაც.<sup>23</sup></p> <p><b>შენიშვნა:</b> IDFI-ს გუნდმა ოფიციალურად მოითხოვა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტისგან, ასევე, დაუკავშირდა ცვლილების ავტორს, თუმცა, ვეჩ მიიღო დეგადუხი ინფორმაცია პიროვნების მომზადების პროცესზე. შესაბამისად, ვეჩ მოახდინა ჩახიდი მხარეების იდენტიფიცირება. შეფასების მიზნით, ანალიტიკოსთა გუნდი დაეყრდნო განმარტებით ბაზაში<sup>24</sup> მოცემულ ინფორმაციას, რომელიც ახ იძლეოდა კანონპროექტის მომზადების შესახებ დეგადუხ ინფორმაციას. შესაბამისად, შეფასდა მხოლოდ იმ საკითხები, საზეც IDFI-მ შეძლო ინფორმაციის მოპოვება.</p>	
---	--

<sup>22</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/302651>

<sup>23</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/24202>

<sup>24</sup> <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/300456>

<p><b>პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფუთვა</b></p> <p>განმარტებითი ბარათის მიხედვით, ცვლილებაზე მუშაობისას, არ მომზადებულა სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის მიმოხილვა. პროექტის გუნდმა ვერ მოიპოვა ინფორმაცია ცვლილების მომზადებამდე არსებული განხილვების, კერძო სექტორის და გადაწყვეტილების მიმღები პირების მონაწილეობის შესახებ.</p>	<p><b>0.0</b></p>
<p><b>კანონროქების ტექსტის შეფუთვა</b></p> <p>ცვლილებების პროექტი მომზადდა ფრაქცია „ქართული ოცნების“ აპარატის მიერ და მომზადებაში მონაწილეობდა ქალაქ რუსთავის მერია. IDFI-მ ვერ მოიპოვა ინფორმაცია სხვა ჩართული მხარეების და სამუშაო ვერსიის მომზადების პროცესის შესახებ.</p>	<p><b>1.0</b></p>
<p><b>ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან</b></p> <p>IDFI-მ ვერ მოიპოვა ინფორმაცია საჯარო განხილვების, კომენტარებისა და საჯარო უწყების მხრიდან წარმოებული უკუკავშირის თაობაზე.</p>	<p><b>NA</b></p>
<p><b>რეგულირების გავლენის შეფასება</b></p> <p>რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი არ მომზადებულა. განმარტებითი ბარათი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას ბიუჯეტზე კანონ-პროექტის შესაძლო გავლენის შესახებ.</p>	<p><b>0.2</b></p>



## 2. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შეფასება

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2025 წლებისათვის და საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

ავტორი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ნომერი: 351

თარიღი: 13/07/2021

2.72

### ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების 2021-2025 წლებისათვის სტრატეგია და მისი 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა აღნიშნული სფეროს უკვე ქვეყნის რიგით მეორე სტრატეგიული დოკუმენტია.<sup>25</sup>

საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგია მოიცავს 7 ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას:

- > პრიორიტეტი 1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მენარმეობისთვის;
- > პრიორიტეტი 2. მცირე და საშუალო მენარმეობის უნარების განვითარებისა და სამენარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
- > პრიორიტეტი 3: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- > პრიორიტეტი 4: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- > პრიორიტეტი 5: ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მენარმეობისთვის;
- > პრიორიტეტი 6: ქალთა მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
- > პრიორიტეტი 7: მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

<sup>25</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5214991?publication=0>



## **კოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფუთვა**

**2.6**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა შესაბამისი მმართველი საბჭო და სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც საჯარო უწყების გარდა, იყვნენ კერძო სექტორის წარმომადგენლებიც.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტზე კონსულტაციების დაწყებამდე, განისაზღვრა მიზნები და მათი მიღწევის პროცესში გამოიკვეთა მაღალი ინტერესისა და გავლენის მქონე ჯგუფები, მათი ჩართულობის მნიშვნელობა და ვადები.

კონსულტაციების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დაიგეგმა საჯარო კონსულტაციების ციკლი, რომელიც გაიწერა სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტზე მუშაობის დაწყებამდე და მაკოორდინირებელი უწყების მიერ წარედგინა სამუშაო ჯგუფს.

სამუშაო ჯგუფმა, საწყის ეტაპზე, შეიმუშავა ანალიტიკური დოკუმენტი, რომელშიც ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესწავლის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე გამოყოფილი იყო პრიორიტეტული მიმართულებები. აღნიშნული პრიორიტეტები თანხვედრაში იყო OECD-ის მიერ ინიცირებულ პრიორიტეტულ მიმართულებებთან. რესპონდენტთა ინფორმაციით, საწყის ეტაპზე სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა არ ყოფილა, თუმცა მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები.

## **აქტის ტექსტის შეფუთვა**

**2.8**

მას შემდეგ, რაც სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც თანხვედრაში იყო OECD-ის მიერ მომზადებულ ანალიზთან, სამუშაო ჯგუფის და GIZ-ის ექსპერტული მხარდაჭერით შემუშავდა სტრატეგიის პროექტი და ლოგიკური ჩარჩო.

სტრატეგიის პროექტთან მიმართებით, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ჩატარდა გენდერული გავლენის შეფასება.

პირველადი სამუშაო ვერსიის მომზადების შემდეგ, ჩატარდა ფართო და საკმაოდ წარმომადგენლობითი საჯარო განხილვა, სადაც ჩართულ მხარეებს გაუზიარეს პროექტი კომენტარებისთვის. დაინტერესებული მხარეები საჯარო უწყებას წერილობით აწვდიდნენ შენიშვნებს, რომელთა განხილვა და უკუკავშირი ხდებოდა როგორც სამუშაო შეხვედრებზე, ასევე წერილობით, ან მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.



## **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.8**

დოკუმენტის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა სამინისტროს ვებგვერდზე და ასევე, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს ელ. ფოსტაზე. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისთვის ცნობილი იყო, თუმცა რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ზოგადად საზოგადოებას ნაკლები შესაძლებლობა და/ან ინტერესი აქვს დოკუმენტაციის ელექტრონულად მოძიებისთვის.

შეხვედრების/განხილვების ყველა მონაწილეს სტრატეგიის პროექტთან ერთად გაეგზავნა ცხრილი კომენტარებისა და რეკომენდაციების წარმოსადგენად. ასევე, საჯარო კონსულტაციებისთვის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტი, შესაბამის დოკუმენტებთან ერთად, განთავსდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. ამ პერიოდში, სულ წარმოდგენილი იქნა 201 კომენტარი. ნაკლებად დაფიქსირდა ვებგვერდიდან შემოსული შენიშვნები. ყველა კომენტარი დეტალურად იქნა განხილული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და თითოეულ მათგანზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე უწყებების მიერ მომზადდა პასუხები. ასევე, დამატებით შედგა ინდივიდუალური უკუკავშირი, მათ შორის, გათვალისწინებულ კომენტარებზე.

## **რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**NA**

**კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: რადიომონწყობილობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე**

**ავტორი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**

**ნომერი: 161**

**თარიღი: 24/04/2023**

**2.41**

## **ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:**

რადიომონწყობილობის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიღების საჭიროება განპირობებულია ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებებიდან გამომდინარე.

რეგლამენტი<sup>26</sup> ადგენს რადიომონყობილობების ბაზარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და ექსპლუატაციაში გაშვებისთვის გარკვეულ მოთხოვნებს.

**შენიშვნა:** IDFI-ს გუნდმა ოფიციალურად მოითხოვა ინფორმაცია დადგენილების ავტოჩეხებისგან, თუმცა, მათი მხრიდან ახ მოხდა შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის გაზიარება. შესაბამისად, შეფასდა მხოლოდ ის საკითხები, ხაზზე IDFI-მ მიიღო ინფორმაცია კეხძო სექტორის წახმომადგენლების და RIA-ზე მომუშავე გუნდისგან.

### **პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შენეშება**

**1.3**

ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების ვალდებულება განსაზღვრული იყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე. რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ რეგულაციის თაობაზე ინფორმაციას ადრეული ეტაპებიდან ფლობდნენ, თუმცა სამუშაო პროცესი 2021 წლიდან გააქტიურდა. მათი ინფორმაციით, სხვადასხვა შეხვედრის ფარგლებში, საჯარო უწყების მიერ, გაფრთხილებულები იყვნენ რეგულაციის სავარაუდო ასამოქმედებელი თარიღის შესახებ, თუმცა აღნიშნული თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა.

კერძო სექტორის ინტერვიუებზე დაყრდნობით, პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპზე, ევროდირექტივის გარდა, საჯარო სექტორის მხრიდან არ მომხდარა დამატებით ანალიტიკური დოკუმენტის მიწოდება და არ ჩატარებულა განხილვები.

### **აქტის ტექსტის შენეშება**

**2.0**

პირველადი სამუშაო ვერსიის ჩამოყალიბება მოხდა საჯარო უწყების მიერ და ამის შემდეგ, დაინტერესებულ მხარეებთან გაიგზავნა, ევროდირექტივასთან ერთად, შენიშვნებისთვის.

რეგულაციის ტექსტის შემუშავების ეტაპზე ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა/ განხილვა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის, აღნიშნული შეხვედრები, ძირითადად, ტარდებოდა კითხვა-პასუხის ფორმატით. დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ საჯარო სექტორისთვის თავიანთი კომენტარების გაზიარების საშუალება. რესპონდენტთა უმრავლესობამ სამუშაო პროცესი საკმაოდ აქტიურად და დადებითად შეაფასა, თუმცა მათმა ნაწილმა აღნიშნა, რომ საჯარო სექტორი არ იყო საკმარისად მომზადებული შეკითხვებზე არგუმენტირებული პასუხების გასაცემად. ასევე, კერძო სექტორის ნაწილის არ ჰქონდა ინფორმაცია მათი კომენტარების გათვალისწინების თაობაზე.

<sup>26</sup> <https://matsne.gov.ge/document/view/5788697?publication=0>

## **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.2**

დადგენილების სამუშაო ვერსია<sup>27</sup> გამოქვეყნდა DCFTA-ს ვებგვერდზე. ასევე, რესპონდენტთა ნაწილის ინფორმაციით, ჩატარდა გაფართოებული და დისტანციური შეხვედრები. საჯარო უწყების მხრიდან უკუკავშირი ხდებოდა შეხვედრების ფორმატში და წერილობით. კერძო სექტორის ერთ ნაწილს მიეწოდა მათი კომენტარებით შესწორებული სამუშაო ვერსია, ხოლო მეორე ნაწილმა ინტერვიუების დროს აღნიშნა რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია მათი კომენტარების გათვალისწინების თაობაზე.

## **რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**2.3**

კანონქვემდებარე აქტის შემუშავების პარალელურად, ვალდებულების არ ქონის მიუხედავად, ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ, მომზადდა რეგულირების ზეგავლენის შეფასება. აღნიშნული შეფასების ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები კერძო სექტორის ნაწილთან. საჯარო უწყების წარმომადგენლების ინფორმაციით, RIA-ს შედეგად შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები რეგლამენტის სამუშაო ვერსიაში. ჩატარდა მისი საკმაოდ ფართო პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები. RIA გამოქვეყნდა სამინისტროს ვებგვერდზე, თუმცა კერძო სექტორის ნაწილმა აღნიშნა, რომ მისი განხორციელების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ.

*\* RIA-ში მინიჭებული ქუდა დამატებით ქუდად აჩის გათვალისწინებული შეფასებაში, ხაფან ჩვენი მეთოდოლოგიით კანონქვემდებარე აქტებისთვის RIA ახასიათებულ კომპონენტია. RIA-ს ქუდის გათვალისწინებამ, მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია ხეგდამენჯის საბოლოო ქუდაზე - დადგენილების მომზადებისას დიადოგის ხაჩისხი საშუადოდან მაღად დონემდე გაიზაჰდა.*

საბოლოო შეფასება მოიცავს კანონქვემდებარე აქტის შეფასების მეთოდოლოგიით მიღებული სამი კომპონენტის საშუადო ქუდას და ბონუსს. ბონუსი დათვლილია შემდეგნაირად - მიღებული RIA-ს ქუდის წიდი შეწონილია 4 კომპონენტთან შეფასებაში RIA-ს წიდი.

<sup>27</sup> <http://bitly.ws/Db54>

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების ფორმებისა და მათი შევსების/დადასტურების წესების დამტკიცების შესახებ

1.89

ავტორი: სსიპ - ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო, სსიპ - შემოსავლების სამსახური

ნომერი: №166 – №1-1/317

თარიღი: 09/07/2021

### ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

დადგენილების<sup>28</sup> მიზანია სამშენებლო პროდუქტების, სათამაშოების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების იმპორტის წინასწარი დეკლარირების/შეტყობინების ფორმის ჩამოყალიბება და ამ ფორმის შევსება-დადასტურების წესების განსაზღვრა.

### პოლიტიკის გოგადი მიმართულებების შენუშავება

2.9

დადგენილების მომზადებას საფუძვლად დაედო წინა წლებში მომზადებული რამდენიმე ტექნიკური რეგლამენტი, რომელთა განხილვაც მიმდინარეობდა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში არსებულ ეკონომიკურ ოპერატორებთან. აღნიშნული შეხვედრების ორგანიზებამდე მოხდა ბენეფიციარი ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიცირება შემოსავლების სამსახურის მიერ და მათი სიის გაზიარება სააგენტოსთან, შეხვედრებზე მოწვევის მიზნით. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეები ინფორმირებული იყვნენ მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე. სწორედ მათი რეკომენდაციით მოხდა მანამდე არსებული იმპორტის მექანიზმის ცვლილება. არა უშუალოდ ამ დადგენილებაზე, თუმცა რამდენიმე ზემოთხსენებულ ტექნიკურ რეგლამენტზე მომზადდა ანალიტიკური დოკუმენტები, მათ შორის RIA, რომელიც ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული მხარეებისთვის.

<sup>28</sup> <https://matsne.gov.ge/document/view/5212690?publication=0>

<p><b>აქტის ტექსტის შენევა</b></p> <p>დადგენილების ტექსტი მომზადდა საჯარო უწყებების მიერ, თუმცა, დაეფუძნა კერძო სექტორთან კონსულტაციების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. კერძო სექტორი უფრო აქტიურად იყო ჩართული ტექნიკური რეგლამენტების მომზადებაში, ვიდრე უშუალოდ შეფასებული დადგენილების მომზადებაში. თუმცა, დადგენილების სამუშაო ვერსიის მომზადების პარალელურად მიმდინარეობდა შეხვედრები, სადაც განიხილებოდა იმპორტის საკითხებიც.</p>	<p><b>2.0</b></p>
<p><b>ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან</b></p> <p>შემოსავლების სამსახურის მიერ, მათი ვებ გვერდის მეშვეობით, გავრცელდა ინფორმაცია ასამოქმედებელი ნორმების თაობაზე. ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს არ გამოუქვეყნებია დოკუმენტი ვებ გვერდზე მიმდინარე რეკონსტრუქციის გამო და არ ჩატარებულა დოკუმენტის საჯარო განხილვა.</p>	<p><b>0.8</b></p>
<p><b>რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)</b></p> <p><b>NA</b></p>	<p>—</p>

<p><b>კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ</b></p> <p><b>ავტორი: საქართველოს ეროვნული ბანკი</b></p> <p><b>ნომერი: 14/04</b></p> <p><b>თარიღი: 17/02/2022</b></p>	<p><b>1.80</b></p>
---	--------------------

**ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:**

ეთიკის კოდექსი<sup>29</sup> ადგენს ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებულ წესებს, რომლებიც შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. დადგენილება ფინანსურ ორგანიზაციებს უწესებს ვალდებულებებს კრედიტის ამოღებისას მომხმარებლებთან ურთიერთობის პროცესში, ასევე, მესამე პირთან დაკავშირების შემთხვევაში. კოდექსის დარღვევა ითვალისწინებს სანქციებს ეროვნული ბანკის მხრიდან.

<sup>29</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5384943?publication=0>  
-39-

### **კოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფასება**

**1.0**

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ახორციელებს მომხმარებელთა საჩივრების მონიტორინგს, როგორც საკუთარი ქოლ-ცენტრის, ისე ფინანსური ინსტიტუტების ანგარიშგების საფუძველზე. ეთიკის კოდექსი დაეყრდნო ამ საჩივრების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას. ასევე, საჯარო უწყებამ შეისწავლა ამერიკული, ბრიტანული და ავსტრალიური გამოცდილება, თუმცა შედეგები არ გაზიარებულა კერძო სექტორთან. ამ ეტაპზე კერძო სექტორი არ იყო პროცესში ჩართული, არ ჩატარებულა კონსულტაციები, თუმცა, კონცეფციის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იყო ფართო საზოგადოების საჭიროებები.

### **აქტის ტექსტის შეფასება**

**1.8**

დადგენილების პირველადი სამუშაო ვერსია მომზადდა საჯარო უწყების მიერ, რის შემდეგაც გაზიარდა დაინტერესებულ მხარეებთან. სწორედ ამის საფუძველზე შეიტყო კერძო სექტორმა დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე. დაინტერესებულ მხარეთა დიდი ნაწილი, სესხის გამცემ სუბიექტთა ასოციაციები და არამართო, ჩართული იყვნენ სამუშაო ვერსიის გადამუშავების პროცესში. კომუნიკაცია მიმდინარეობდა როგორც წერილობით, ისე შეხვედრების ფორმატში, მათთან კომუნიკაციაში მონაწილეობდნენ გადანყვეტილების მიმღები პირები. კერძო სექტორის მონაწილეობით მნიშვნელოვნად შეიცვალა დადგენილების პირველადი სამუშაო ვერსია.

### **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.6**

სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ფართო საზოგადოების მხრიდან კომენტარების მიღების მიზნით, ხოლო სექტორთან კომუნიკაცია მიმდინარეობდა როგორც წერილობით, ისე შეხვედრების ფორმატში. საჯარო უწყებამ მიიღო რამდენიმე კომენტარი/დაზუსტების თხოვნა მომხმარებლებისგან, თუმცა, კომენტარების ძირითადი ნაწილი მოდიოდა საფინანსო სექტორისგან, როგორც წერილობით, ისე გაფართოებული შეხვედრების ფორმატში. შეხვედრები იმართებოდა გადანყვეტილების მიმღები პირების მონაწილეობით. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ დარჩა გაუთვალისწინებელი შენიშვნები, უკუკავშირი არ იყო ყოველთვის ამომწურავი, თუმცა, პროცესი გამჭვირვალედ წარიმართა.

### **რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**NA**

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: „ახალი გაცივებული და გაყინული ღორის, ცხვრის, თხის ხორცისა და შინაური ფრინველის ხორცისათვის წარმოშობის ადგილისა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“

ავტორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ნომერი: 326

თარიღი: 20/06/2022

1.77

### ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

აღნიშნული რეგლამენტი ადგენს მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების დროს განსაზღვრული ხორცის სახეობებისთვის, ეტიკეტზე, წარმოშობის ადგილის და წარმოშობის ქვეყნის მითითების წესებსა და ბიზნეს ოპერატორის ვალდებულებებს. ამ წესების მიზანია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა.<sup>30</sup>

ნორმატიული აქტი განსაზღვრულია ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით, კერძოდ, DCFTA-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე (თავი - სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები<sup>31</sup>).

### პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფუთვა

DCFTA-ს ერთ-ერთი დანართით განისაზღვრა ევროპული დირექტივები და მათთან ჰარმონიზაციის ვადები. სწორედ ამ დანართის მიხედვით, წინამდებარე ნორმატიული აქტი 2022 წელს უნდა მიღებულიყო. აღნიშნული სია გამოქვეყნებული იყო DCFTA-ს ვებგვერდზე და ამ გზით ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული მხარეებისთვის. ამას გარდა, საჯარო სექტორმა წინა წლებში აამოქმედა N326 დადგენილების მსგავსი რეგულაცია, რომლის განხილვების დროს ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული დადგენილების თაობაზეც ხდებოდა.

დადგენილება ეფუძნება ევროკავშირის დირექტივას, შესაბამისად, მოხდა მისი ანალიზი, ხოლო დამატებითი ანალიტიკური დოკუმენტაცია არ მომზადებულა.

1.7

<sup>30</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5499443?publication=0>

<sup>31</sup> <https://dcfta.gov.ge/assets/uploads/agreement/sanitary/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%20IV%20-%20XII.PDF>



### **აქტის ტექსტის შენევა**

**1.4**

დადგენილების სამუშაო ვერსია მომზადდა საჯარო სექტორის მიერ, კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე. თუმცა, საჯარო სექტორის ინფორმაციით, დადგენილების პროექტის მომზადებისას, სხვა აქტებთან დაკავშირებით მათ მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა აღნიშნული რეგულაციის შესახებ მიეღოთ ინფორმაცია.

### **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.2**

ნორმატიული აქტის პროექტის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გამოქვეყნდა სამინისტროს ვებგვერდზე და ის განიხილეს დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების დროს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ კერძო სექტორის მხრიდან ძირითადად ისმებოდა შეკითხვები და არ მიუღიათ კომენტარები. შეხვედრები არ ჩატარებულა რეგიონებში, თუმცა დედაქალაქში ჩატარებულ შეხვედრებს ესწრებოდნენ მსხვილი ასოციაციები და მათი საშუალებით შესაძლებელი იყო ინფორმაციის გავრცელება.

ასევე, დადგენილების საბოლოო პროექტი გაუგზავნეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას და მის წევრებს. რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ მიიღეს კომენტარი ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებისგან, რომელზეც მომზადდა არგუმენტირებული პასუხი.

### **რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**NA**



კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: ტექნიკური რეგლამენტი – გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების წესის შესახებ

ავტორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ნომერი: 368

თარიღი: 15/07/2022

1.50

### **ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:**

აღნიშნული ნორმატიული აქტი შემუშავებულია „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ადგენს გარემოსთვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების და მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების წესს<sup>32</sup>

რეგლამენტში განსაზღვრული მეთოდოლოგია გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ შემუშავებული იყო 2014 წლიდან, თუმცა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონპროექტის დამტკიცებამ, რომელიც განპირობებული იყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ქართული კანონმდებლობის ევროპულ დირექტივებთან დაახლოების ვალდებულებით, გამოიწვია მასში ცვლილებების ასახვა და გადამტკიცება.

### **პოლიტიკის ფორმული მიმართულებების შეფუთვა**

0.7

იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტი 2014 წლიდან არსებობდა და მისი გადამტკიცება მოხდა, კანონში ასოცირების ხელშეკრულებით შეტანილი ცვლილებების შემდეგ, დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაცია ჰქონდათ მოსალოდნელ ცვლილებებზე. ნორმატიული აქტის შემუშავების პროცესში მიმდინარეობდა რამდენიმე აქტის მომზადება და დაინტერესებულ მხარეებთან მათი ერთ პაკეტად განხილვა. თუმცა, დაგეგმვის ეტაპზე არ ყოფილა კონსულტაციები კერძო სექტორთან.

<sup>32</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5523053?publication=0>

## **აქტის ტექსტის შენევა**

**1.8**

ნორმატიული აქტის პირველადი სამუშაო ვერსიის მომზადება მოხდა უცხოელი ექსპერტების მიერ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ჩართულობით. პროექტის გარკვეული სახით ჩამოყალიბების შემდეგ მოხდა სამინისტროს ვებგვერდზე გაზიარება და ჩატარდა პრეზენტაცია სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად.

დაინტერესებული მხარეების მხრიდან მცირე რაოდენობის შენიშვნები შევიდა ვებგვერდიდან და ასევე, გარკვეული მოსაზრებები გამოითქვა პრეზენტაციის დროს. ჩართულ მხარეებთან ასევე გაიგზავნა დადგენილების სამუშაო ვერსია განსახილველად და მათგან მიღებული შენიშვნების შედეგად მოხდა პროექტის კიდევ ერთხელ გადამუშავება.

## **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.0**

ნორმატიული აქტის განხილვა ხდებოდა კომპლექსურად, სხვა რამდენიმე აქტთან ერთად. მისი გავრცელება ხდებოდა სხვადასხვა გზით, მათ შორის, ვებგვერდის და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ასევე, ჩატარდა პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ გადანაცვლების მიმღები პირები და ინფორმაცია გავრცელდა ტელევიზიითაც.

რესპონდენტთა ინფორმაციით, რადგან ნორმატიული აქტის დამტკიცება მოხდა გარემოსდაცვით კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად და თვითონ ტექნიკურ რეგლამენტში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შესულა, მასთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების კომენტარები იყო მცირე რაოდენობის და უფრო ტექნიკური ხასიათის. სამუშაო ფორმის განხილვები ტარდებოდა ასევე სამინისტროს დარგობრივი უწყებების მიერ.

კერძო სექტორისგან მიღებული შენიშვნები აისახა ნორმატიულ აქტში, თუმცა საჯარო უწყებას ამის შესახებ არ უცნობებია შენიშვნების ავტორებისთვის და მათ ამის შესახებ მხოლოდ საბოლოო პროექტის გაცნობის შემდეგ შეიტყვეს. საბოლოო პროექტის მომზადების შემდეგ არ ჩატარებულა საჯარო განხილვა და დოკუმენტი არ დაგზავნილა ჩართული პირებთან, გაზიარდა მხოლოდ ვებგვერდზე. არ ჩატარებულა განხილვები რეგიონებში, თუმცა პროცესში ჩართული იყო კერძო სექტორი.

## **რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**NA**

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: ტექნიკური რეგლამენტი – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ დამტკიცების თაობაზე

ავტორი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ნომერი: 304

თარიღი: 08/06/2022

1.12

### ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

ნორმატიული აქტი ადგენს სპეციფიკურ მოთხოვნებს იმ პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) მიმართ, რომლებიც ინარმოება ან/და ბაზარზე განთავსებულია და განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის/უკვე შეხებაშია სურსათთან/ან მეტნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოვიდეს შეხებაში სურსათთან. ასევე, ნორმატიული აქტის ანესრიგებს ბიზნეს ოპერატორების მიერ პლასტმასის მასალების და ნაკეთობების წარმოების და ბაზარზე განთავსების პირობებს.<sup>33</sup>

ნორმატიული აქტი განსაზღვრულია ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებით, კერძოდ, DCFTA-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

### პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფუთვა

1.2

DCFTA-ს ერთ-ერთი დანართის მიხედვით<sup>34</sup> აღნიშნული ნორმატიული აქტის შემუშავება 2022 წელს უნდა მომხდარიყო. ევროკავშირის საკანონმდებლო აქტები, რომელთაც ასოცირების ფარგლებში ქართული კანონმდებლობა უნდა დაუახლოვდეს გამოქვეყნდა DCFTA-ს ვებგვერდზე და ამ გზით ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული მხარეებისთვის. დამატებით, საჯარო სექტორის მიერ ორგანიზებულ, სხვა აქტებთან დაკავშირებულ შეხვედრებზე ან განხილვებზე, რეგულაციაზე ზოგადი ინფორმაცია იქნა მიწოდებული დაინტერესებული მხარეებისთვის, თუმცა უშუალოდ ამ დადგენილების შექმნაზე არ ყოფილა საჯარო განხილვა ან სამუშაო შეხვედრა.

დადგენილება ეფუძნება ევროკავშირის დირექტივას, შესაბამისად მოხდა მისი ანალიზი და დამატებითი ანალიტიკური დოკუმენტაცია არ მომზადებულა.

<sup>33</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5489071?publication=0>

<sup>34</sup> <https://dcfta.gov.ge/assets/uploads/agreement/sanitary/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%20IV%20-%20XII.PDF>

## **აქტის ტექსტის შენევა**

**1.2**

დადგენილების სამუშაო ვერსია მომზადდა საჯარო სექტორის მიერ, კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე. სამუშაო ვერსია გაზიარდა საჯარო უწყების შიგნით.

## **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**1.0**


სამუშაო ვერსიის მომზადების შემდეგ დოკუმენტი გამოქვეყნდა ვებგვერდზე განსაზღვრულ ვადაზე ხანგრძლივი პერიოდით (მოცულობიდან გამომდინარე), მაგრამ კერძო სექტორის მხრიდან შენიშვნები, ან კომენტარები არ დაფიქსირებულა. პროექტის ავტორმა დააფიქსირა მზაობა საჭიროების შემთხვევაში კომენტარების განხილვის თაობაზე.

საჯარო უწყების ინფორმაციით, რადგან აღნიშნული რეგულაციის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2026 წელი, მასთან დაკავშირებით საჯარო განხილვების დაწყება დაგეგმილი იყო ამოქმედების ვადის მოახლოებისას.

## **რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**NA**

—



კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი: სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის პირობის შეცვლის/გაუქმების სანაცვლო ანაზღაურების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

ავტორი: საქართველოს მთავრობა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ნომერი: 300

თარიღი: 08/06/2022

0.76

### ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

დადგენილება<sup>35</sup> მომზადდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2021 წლის N32/36 ანგარიშის „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საინვესტიციო ვალდებულებების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში“<sup>36</sup> ერთ-ერთი რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სააგენტოს ურჩევს შეიმუშაოს საპრივატიზებო პირობების ცვლილების შემთხვევაში გადასახდელი ანაზღაურების განსაზღვრის მეთოდოლოგია, თანხის გაანგარიშების კრიტერიუმებით და ეს საკითხი მოაქციოს ნორმატიულ რეგულაციაში. აღნიშნული დადგენილება ეხება სახელმწიფო ქონების შემდენ და მოსარგებლე მხარეებს და განსაზღვრავს ზემოთხსენებულ მეთოდოლოგიას.

### პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფუთვა

პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე არ მომზადებულა ანალიტიკური დოკუმენტი, თუმცა, დადგენილებას საფუძვლად დაედო ქონების ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის პრაქტიკა. ამ ეტაპზე არ ჩატარებულა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან.

### აქტის ტექსტის შეფუთვა

დადგენილების სამუშაო ვერსია მომზადდა სააგენტოს მიერ. კერძო სექტორი არ იყო პროცესში ჩართული. სამუშაო ვერსიის გაზიარება მოხდა მხოლოდ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, პროცესში აქტიურად მონაწილეობდა სააგენტოს თავმჯდომარე.

<sup>35</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5488997?publication=0>

<sup>36</sup> <https://bit.ly/3mNZSYx>

**ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**


**0.8**

დადგენილების სამუშაო ვერსია არ გამოქვეყნებულა, არ იყო საჯარო დაინტერესებული მხარეებისთვის და არ ჩატარებულა საჯარო განხილვები. სამუშაო ვერსიაზე სააგენტომ მიიღო კომენტარები სამინისტროს მხრიდან, რომლის საფუძველზე არ შესულა ფუნდამენტური ცვლილებები.

**რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**NA**

—



### 3. მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტების შეფასება

მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი (მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება)

ავტორი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 26

თარიღი: 26/11/2021

2.07

#### ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მზადდება მერიის, ხოლო მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. 2022 წლის ბიუჯეტში განსაზღვრული იყო 7 პრიორიტეტული მიმართულება. წინამდებარე შეფასებაში შესწავლილია #1 პრიორიტეტის - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების - მომზადების პროცესი.

პრიორიტეტით განსაზღვრული იყო საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, რეაბილიტაცია, მშენებლობა, სატრანსპორტო სერვისების განვითარება, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, ავარიული შენობების რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა - მართვა და სხვ.<sup>37</sup>

ინფრასტრუქტურის პრიორიტეტი მოიცავდა KfW-ს დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებსაც, რაც უკვე წინასწარ განსაზღვრული იყო პროექტის დამტკიცებიდან, შესაბამისად, ბიუჯეტის ამ ნაწილში დაინტერესებული მხარეები ვერ ჩაერთვებოდნენ. წინამდებარე შეფასებაში, აღწერილი და შეფასებულია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების შემუშავების პროცესი, KfW პროექტის გარდა.

ცნობისთვის, მუნიციპალიტეტის საკრებულო „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ვალდებულია მერიისგან მიღებული ბიუჯეტის სამუშაო ვერსია გამოაქვეყნოს და მოაწყოს მისი საჯარო განხილვა.<sup>38</sup>

<sup>37</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5292000?publication=0>

<sup>38</sup> აღნიშნული ეხება ოთხივე შეფასებულ მუნიციპალურ აქტს

## **პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფუთვა**

**2.0**

ბიუჯეტის მომზადების ეტაპები მსგავსია ყოველ წელს. პროცესი დაიწყო ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების მიერ მოსახლეობის, კერძო სექტორის საჭიროებების ანალიზით. ამასთან, საკრებულოს დეპუტატები შეხვდნენ დაინტერესებულ მხარეებს და შეაგროვეს ინფორმაცია მათი საჭიროებების თაობაზე. ინფრასტრუქტურულ საკითხებზე მერიამ წერილობითაც მიიღო შეთავაზებები. მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლების მიერ წერილობით და ზეპირად მიღებული ინფორმაციის კონსოლიდაცია მოხდა მერიის მიერ მომზადებულ პრიორიტეტების დოკუმენტში, რომელიც მიენოდა საკრებულოს და გამოქვეყნდა საზოგადოების მხრიდან კომენტარების მიღების მიზნით. არ მომზადებულა დამატებით ანალიტიკური დოკუმენტები.

პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების შემდეგ მერიის სამსახურები შეხვდნენ დაინტერესებულ მხარეებს პრიორიტეტების და მათ განსახორციელებლად საჭირო ფინანსური ზღვრების თაობაზე ინფორმირებისა და განხილვის მიზნით. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე შეხვედრები გაიმართა მოსახლეობასთან და არასამთავრობო სექტორი ნაკლებად იყო ჩართული ამ განხილვებში. ასევე, არასამთავრობო სექტორმა სურვილი გამოთქვა, რომ მომავალში ანალიზზე და შეფასებაზე დაყრდნობით განისაზღვროს საბიუჯეტო თანხების განაწილება.

საჯარო სექტორმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ მათი დაგეგმვისას გასათვალისწინებელია წინა წლებში განხორციელებული სამუშაოები. შესაბამისად, ვერ მოხდებოდა გარკვეული რეკომენდაციების გათვალისწინება.

## **აქტის ტექსტის შეფუთვა**

**1.6**

ბიუჯეტის სამუშაო ვერსია მომზადდა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. მათი ცნობით, პროექტის მომზადების შემდეგ მერიის სამსახურები შეხვდნენ დაინტერესებულ მხარეებს კომენტარების მიღების მიზნით. შეხვედრები ჩატარდა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. შეხვედრებზე გამოთქმული, ისევე, როგორც წერილობით მიღებული კომენტარების ნაწილი აისახა სამუშაო ვერსიაში. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ უფრო მეტად ხდებოდა კერძო კომპანიების, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციების, შენიშვნების გათვალისწინება.



**ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.6**

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მერიის მხრიდან მიწოდებული სამუშაო ვერსია კანონის მიხედვით, კომენტარების მიღების მიზნით გამოაქვეყნა ვებგვერდზე და მოაწყო საჯარო განხილვა. საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის მხრიდან საჯარო განხილვაზე მოწვეული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა, მხოლოდ მცირე ნაწილი დაესწრო განხილვას. ამასთან ერთად, ბათუმის მერიამაც ჩაატარა საჯარო განხილვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.

შეხვედრებში კერძო სექტორის მონაწილეობის ხარისხი იყო დაბალი. ამის მიზეზად რესპონდენტთა ნაწილმა დაასახელა დაინტერესებული მხარეების მხრიდან მათი კომენტარების გაუთვალისწინებლობის მოლოდინი.

**რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**NA**

**მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტი: გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი (ეკონომიკური განვითარება)**

**ავტორი: გორის მუნიციპალიტეტის მერია, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**ნომერი: 36**

**თარიღი: 24/12/2021**

**2.00**

**ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მზადდება მერიის, ხოლო მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. 2022 წლის ბიუჯეტში განსაზღვრული იყო 7 პრიორიტეტული მიმართულება. წინამდებარე შეფასებაში შესწავლილია #7 პრიორიტეტის - ეკონომიკური განვითარების - მომზადების პროცესი.

პრიორიტეტით განსაზღვრული იყო ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება და მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა<sup>39</sup>

<sup>39</sup> <https://matsne.gov.ge/document/view/5324631?publication=0>

## **კოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეუშავება**

**2.0**

საბიუჯეტო ციკლი ყოველ წელს მსგავსია, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის და კერძო სექტორის ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია წლის განმავლობაში გასანევი აქტივობების და ვადების თაობაზე. 2022 წლის ბიუჯეტის მომზადების ეტაპის დასაწყისში, ინფორმაციის მოსახლეობისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდება მოხდა როგორც შეხვედრებით, ასევე ადგილობრივი გაზეთის და სოციალური ქსელების საშუალებით.

ბიუჯეტის ეკონომიკური ნაწილის მომზადებამდე, როგორც მერიის, ასევე საკრებულოს წარმომადგენლებმა შეაჯერეს მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაცია იმ საჭიროებებზე, რომელიც საჯარო უწყებებს ეცნობებოდა წერილობით ან მოსახლეობასთან შეხვედრებიდან, რის საფუძველზეც შეიქმნა პრიორიტეტების დოკუმენტი. დაგეგმვის ეტაპზე კერძო სექტორს ჰქონდა ინიციატივა, რომელიც შემდგომში აისახა ბიუჯეტის პროექტში.

## **აქტის ტექსტის შეუშავება**

**1.8**

ბიუჯეტის სამუშაო ვერსია მომზადდა მერიის სამსახურების მიერ. ეკონომიკური განვითარების პროგრამით დაფინანსებული ააიპ-ების ბიუჯეტის წარდგენა მერიისთვის მოხდა აგვისტოში, აღნიშნული ბიუჯეტის შედგენა მოხდა როგორც წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად.

პროექტის გადამუშავების პერიოდში, ჩატარებულ შეხვედრებზე, მოსახლეობის მხრიდან ეკონომიკური პროგრამის მიმართულებით გამოთქმული შენიშვნები ან ინიციატივები თითქმის არ ყოფილა. საჯარო უწყების ინფორმაციით, მოსახლეობა მეტად დაინტერესებული იყო ინფრასტრუქტურული პროექტებით, რადგან ცნობიერების დონე ეკონომიკური განვითარების შესახებ ზოგადად დაბალია.

## **ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.2**

ბიუჯეტის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა ვებგვერდზე და ჩატარდა მისი საჯარო განხილვა ერთხელ, რომლის ორგანიზება მოხდა ადგილობრივი ახალგაზრდების ჯგუფის მიერ და რომელსაც დაესწრნენ საჯარო უწყების წარმომადგენლები.

საბოლოო ვერსიის საჯარო განხილვაზე, მოსახლეობის მხრიდან იყო ინიციატივა მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტის განხორციე-

ელებასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ინფორმაციით, მისი გათვალისწინება ვერ მოხერხდებოდა, რადგან ბიუჯეტში მსგავსი პროგრამა არ იყო გათვალისწინებული.

ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციით, მოსახლეობა მეტად იყო დაინტერესებული ინფრასტრუქტურული პროექტებით, ვიდრე ეკონომიკური მიმართულებით. საჯარო უწყების მზაობის მიუხედავად, რომ აქტიურად განეხილათ ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ინტერესი აღნიშნული კუთხით მაინც დაბალი იყო.

### **რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**NA**

**მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი (ინფრასტრუქტურის განვითარება)**

**ავტორი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**ნომერი: 281**

**თარიღი: 25/11/2021**

**2.00**

### **ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მზადდება მერიის, ხოლო მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. 2022 წლის ბიუჯეტში განსაზღვრული იყო 6 პრიორიტეტული მიმართულება. წინამდებარე შეფასებაში შესწავლილია #2 პრიორიტეტის - ინფრასტრუქტურის განვითარების - მომზადების პროცესი.

პრიორიტეტით განსაზღვრული იყო საგზაო ინფრასტრუქტურის და წყლის სისტემების განვითარება, მშენებლობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა, კეთილმოწყობის ღონისძიებები და სხვ.<sup>40</sup>

<sup>40</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5288795?publication=0>

<p><b>პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეუშავება</b></p> <p>საბიუჯეტო ციკლი მსგავსია ყოველ წელს, მოსახლეობის და კერძო სექტორის ნაწილს ჰქონდა ინფორმაცია წლის განმავლობაში გასანევი აქტივობების და ვადების თაობაზე. ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ნაწილის მომზადებამდე, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა მოსახლეობისგან მიიღეს ინფორმაცია მათი საჭიროებების თაობაზე, წერილობით ან შეხვედრების ფორმატში, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა პრიორიტეტების დოკუმენტი და დაიწყო ბიუჯეტის სამუშაო ვერსიის მომზადება. სწორედ ამის შემდეგ გახდა ცნობილი, თუ რა აისახა და რა დარჩა ბიუჯეტს მიღმა. ამ ეტაპზე, უფრო აქტიური კომუნიკაცია იყო მოსახლეობასთან ვიდრე კერძო სექტორთან. არ მომზადებულა დამატებით ანალიტიკური დოკუმენტები.</p>	<p><b>2.0</b></p>
<p><b>აქტის ტექსტის შეუშავება</b></p> <p>ბიუჯეტის სამუშაო ვერსია მომზადდა მერიის მიერ. პროექტის გადამუშავების პერიოდში, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით შედგა შეხვედრა არასამთავრობო სექტორს, მერიისა და საკრებულოს წევრებს შორის. შეხვედრაზე გამოითქვა კომენტარები, რომელთა ნაწილის გათვალისწინება მოხდა.</p>	<p><b>1.8</b></p>
<p><b>ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან</b></p> <p>ბიუჯეტის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა ვებგვერდზე და ჩატარდა მისი საჯარო განხილვა საკრებულოში. იმის მიუხედავად, რომ დოკუმენტი საჯარო იყო, ყველა დაინტერესებული მხარისთვის არ იყო ხელმისაწვდომი, რადგან მათმა ნაწილმა არ იცოდა თუ სად და როდის ქვეყნდებოდა პროექტი. მისი პროაქტიულად გავრცელება კი არ მომხდარა. ამ ეტაპზეც იყო კომენტარები, უფრო მეტად თხოვნები, დაინტერესებული მხარეების მხრიდან. საჯარო უწყებების ინფორმაციით, კომენტარები და თხოვნები, რომელთა ასახვაც ვერ მოხდა 2022 წლის ბიუჯეტში, აისახებოდა მომდევნო წლებში.</p>	<p><b>2.2</b></p>
<p><b>რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)</b></p> <p><b>NA</b></p>	<p>—</p>

მუნიციპალიტეტის ორგანოს ნორმატიული აქტი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი (ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა)

ავტორი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 5

თარიღი: 29/12/2021

1.58

### **ინფორმაცია ნორმატიული აქტის თაობაზე:**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მზადდება მერიის, ხოლო მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. 2022 წლის ბიუჯეტში განსაზღვრული იყო 6 პრიორიტეტული მიმართულება. წინამდებარე შეფასებაში შესწავლილია #6 პრიორიტეტის - ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის - მომზადების პროცესი.

პრიორიტეტით განსაზღვრული იყო ეკონომიკის სტიმულირებისა და ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ქალაქის გენერალური გეგმის შედგენა და თვითმმართველობის ქონების მართვა.<sup>41</sup>

**შენიშვნა:** იქედან გამომდინარე, რომ ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ჩაახდელი/პასუხისმგებელი პიხების ნაწილისგან ახ მოხდა შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციის სხუდად გაზიარება, IDFI-ს გუნდმა შეფასება განახორციელა ხედმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

### **კოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შეფუთვა**

2.0

ბიუჯეტის მომზადების ეტაპები ყოველი წლის განმავლობაში მსგავსია. 2022 წლის ბიუჯეტის შემუშავების პროცესის დასაწყისში საკრებულოს და მერიის წარმომადგენლები ხვდებოდნენ მოსახლეობას და იღებდნენ მათ საჭიროებებზე ინფორმაციას. ასევე, გაიმართა შეხვედრები კერძო სექტორთან დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) მიერ.

### **აქტის ტექსტის შეფუთვა**

0.5

ბიუჯეტის სამუშაო ვერსია მომზადდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

<sup>41</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5315614?publication=0>

**ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან**

**2.3**

მერიის მიერ შემუშავებული ბიუჯეტის საბოლოო სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა საკრებულოს ვებგვერდზე, ჩატარდა განხილვა საკრებულოს სხდომაზე, რომელიც სოციალური ქსელის საშუალებით გადაიცემოდა. აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეებს კითხვების დასმის და უკუკავშირის მიღების საშუალება ჰქონდათ.

ინტერვიუებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსახლეობის ინტერესი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებთან შედარებით, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე უფრო მეტი იყო. მსგავსი სურათი გვქონდა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთანაც - ტურიზმის სექტორში საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიებსაც აღნიშნულ ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინება სურდათ.

**რეგულირების გავლენის შეფასება (ბონუსი)**

**NA**

## დანართი I:

### გამოყენებული წყაროები

- 01 „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ (რეგისტრაციის ნომერი 07-2/86/10, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
- 02 „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (რეგისტრაციის ნომერი 1455-VIIIმს-Xმპ, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
- 03 „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ (რეგისტრაციის ნომერი 2112-IXმს-Xმპ, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
- 04 „საჯარო შესყიდვების შესახებ“ (რეგისტრაციის ნომერი 07-2/158/10, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
- 05 „საქართველოს საპატენტო კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ (რეგისტრაციის ნომერი 07-2/144/10, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
- 06 „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (რეგისტრაციის ნომერი 1706-VIIIმს-Xმპ, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
- 07 „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ (რეგისტრაციის ნომერი 1712-VIIIმს-Xმპ, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
- 08 „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე - სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (რეგისტრაციის ნომერი 1712-VIIIმს-Xმპ, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
- 09 „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (რეგისტრაციის ნომერი 07-3/211/10, ინიცირებული ვარიანტი, განმარტებითი ბარათი) (parliament.ge)
- 10 „სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ საინვესტიციო ვალდებულებების სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემის 2017-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2021, <https://bit.ly/3mNZSYx>
- 11 DCFTA - თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან, 2023, [dcfta.gov.ge](https://dcfta.gov.ge)
- 12 Final report - Support to the development of Private and Administrative Law System in Georgia, GIZ, 2018

- 13 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2022, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2023, [https://idfi.ge/ge/access\\_to\\_public\\_information\\_in\\_georgia\\_2022\\_](https://idfi.ge/ge/access_to_public_information_in_georgia_2022_)
- 14 საქართველოს პარლამენტი, 2023, [Info.parliament.ge](http://Info.parliament.ge)
- 15 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2023, [matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge)
- 16 საქართველოს ეროვნული ბანკი, 2023. [nbg.gov.ge](http://nbg.gov.ge)
- 17 ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2022, [batumicc.ge](http://batumicc.ge)
- 18 რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2022, [rustavi.gov.ge](http://rustavi.gov.ge)
- 19 გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2022, [gori.mun.gov.ge](http://gori.mun.gov.ge)
- 20 ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2022, [kutaisi.gov.ge](http://kutaisi.gov.ge)





